№ 177

პარასკევი, 30 სექტემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 177

პარასკევი, 30 სექტემბერი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

კნეინა ანნა ალექსანდრეს ასული ამილახორისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 4 ოქტომბერს, მეორმოცე დღეს გარდაცვალებიდან გენერალ-ადიუტანტის

თავ. ივანე გივის ძე ამილახორისა,

ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

კვირას, 2 ოქტომბერს, სოფელ ბარნაბიანთ კარში (სად. გრაკალი) მეორმოცე დღეს გარდაცვალებიდან

სალომე იოსებ ყანჩელის ასულის აბულაძისა,

გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე გარდაცვალებულისა **პლატონ ქრისტეფორეს ძე აბულაძე და დედა ალექსანდრა გიორგის ასული ყანჩელის** შვილებითურთ.

№ 2 **ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში** № 2

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნება:

ორშაბათს, 3 სექტემბერს, პირველად ახალი პიესა

I

ნიადვარი

დრამა 4 მოქმ. კოსოროტოვისა, თარგმანი ვ. გუნიასი.

II

ბებრის სალერღელი

ვოდ. ერთ მოქმედ. მაზურკევიჩისა, თარგმანი დ. აწყურელისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, მ. მდივანი, ა. ნებიერ-ძე, ნ. ჩხეიძე. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ს. სვიმონიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი, ვ. ურუშაძე.

წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე

ადგილების ფასი: ლოჟები 2 მ.-დან 10-მდე, ბალკონი 60 კ.-დან 75 კ.-მდე, ამფითეატრი 1 მ. გალერეა 25 კ.-დან 35.-მდე.

მოსწავლეთათვის ადგილები 40 კაპ.

მზადდება წარმოსადგენად „მარუჩა“—„შიო თავადი“—„სულით ობოლნი“—,,ქოხში‘‘ და სხ.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა [illegible]

ლ. დ. დონსკოისა

დღეს, პარასკევს, 30 სექტემბერს, წარმოდგენილ იქნება:

რიგოლეტტო

ოპერა 4 მოქმ. მუსიკა ვერდისა, თარგმ. ამენისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: პროკუდინა, მიშეცკაია და კარპოვისა; ბ-ნები: კოლოტოვი, სოკოლსკი, დრაკული, ვოლკი, დემიანენკო, ფილიპოვი, შეინი და დემიდოვი.

ბალეტს განაგებს ბ-ნი ბეკეფი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.

კაპელმეისტერი ი. პ. ფალიაშვილი.

ხვალ, შაბათს, 1 ოქტომბერს, დანიშნულია სპექტაკლი „გალა“ წარმოდგენილ იქმნება „აფრიკანკა“ ოპერა 5 მოქ. მუსიკა მეიერბერისა, თარგმანი ამენისა.

ბილეთები იყიდება.

კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში გიორგიევის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, იყიდება შემდეგი სასწავლო სახელმძღვანელო წიგნები:

1) **სახელმძღვანელო** ან სწავლა სჯულისა, დეკ. ნ. ყუბანეიშვილის მედგენილი, მეხუთე, შესწორებული გამოცემა და უწმ. სინოდისაგან მოწონებული სკოლებში სახმარებლად. ფასი ყდით 30 კაპ.

2) Практическій Курсъ Грузинскаго языка для русскихъ შედგ. პ. მირიანაშვილისა ღირს 60 კაპ.

3) გეოგრაფია იონესანისა სომხურ ენაზე—50

4) **მოკლე ისტორია საქართველოსი** შედ. ვ. ურუშაძისა ფასი—25 კ.

ზემოჩამოთვლილი წიგნების უმთავრესი საწყობი ხსენებულ მაღაზიაშია და იყიდება ფას-დაკლებით. იქვე იყიდება ყოველ გვარი სამოსწავლო და სახემძღვანელო წიგნები, სხვადასხვა ენაზე გამოცემული. (4—3).

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხელ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 სათ., საღამოთი 6—7 საათ. ყორღანოვის ქუჩაზე (გერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ვ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.

ყ. ვ. ჩიქოვანი,—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდი—კანისა და ვინ-[illegible] ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ა. ბ. ქარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

საღამოობით:

ვ. ა. ნავასარდიანი. 7—$7^1/_2$ საათ.

ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—$7^1/_2$ საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ვ. ა. ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 სუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნი და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლ 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაწაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ექვთიმე ვაშაკიძე—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

მოვალეობა

—:—

თუ თქვენ, მკითხველო, დაჰკვირებიხართ სხვადასხვა ხალხთა ზნე ჩვეულებას, პსიხიკას, სულიერ თვისებურობას, არ შეიძლება არ შეგემჩნიოთ, რომ ქართველს ბევრი რამ ისეთი თვისება აკლია, რაც საზოგადოებრივ განვითარების შედეგია და რაც, ამიტომ, ყველა დაწინაურებულ ხალხებს ეჩნევა. ჩვენ, ქართველებს, ბევრი ისეთი რამ გვაკლია, ჩვენს ხასიათს, ჩვენს სულიერ ინდივიდუალობას ისეთი უსწორ-მასწორობის დაღი ასვია, რომ, თუ დააკვირდებით, უნებლიედ მწარე ფიქრებს მიეცემით და მწუხარედ წამოიძახებთ: ნუ თუ „ქართველობა“, ნუ თუ „ქართული თავისებურობა“, ჩვენი „ეროვნული ელფერი“ უმთავრესად ისეთ თვისებებში უნდა გამოიხატებოდეს, რომელიც ნიშანია ჩვენის უკულტურობისა და განუვითარებლობისაო? არ შეიძლება, გული არ გეტკინოთ, როცა ხედავთ, რომ ჩვენ ჯერ ისეთი ზნეობრივი პრინციპებიც კი ვერ შეგვითვისებია, რომელიც ყველა კულტურულ საზოგადოებაში საანბანო ჭეშმარიტებად ითვლება და პრაქტიკულ მოქმედებაში იმ პრინციპებით ხელმძღვანელობა ყველასაგან და ყველასათვის სავალდებულოდაა მიჩნეული.

ერთი ამგვარი პრინციპია, სხვათა შორის, ზნეობრივ მოვალეობის შეგნება და ცხოვრებაში მის თანახმად მოქმედება. ინგლისელმა, გერმანელმა, ფრანგმა, — ყველა კულტურულმა ადამიანმა—იცის, რომ ზნეობრივ მოვალეობის ცნობა და მისი პრაქტიკულად აღიარება, საზოგადოებრივის ინტერესების მხრივ, დიდად საჭიროა, და ამიტომ ყველა კულტურულ ხალხებში დიდ ყურადღებას აქცევენ ახალთაობის ზნეობრივ ინდივიდუალობის შემუშავებას და მისთვის სიმტკიცის მიცემას.

ჩვენში კი ეს თითქო ზედმეტ ბარგად ითვლება,—ქართველის ლექსიკონში არ სწერია სიტყვა ,მოვალეობა‘‘, ანუ უკეთ რომ ვთქვათ,—ვალი. მოვალეობა ფინანსიური ბევრიც სწერია არა თუ ლექსიკონში, არამედ ბანკების სავექსილო წიგნებშიაც, მაგრამ არ სწერია ის მოვალეობა, რომელსაც სახელად ,,ზნეობრივი‘‘ ეწოდება.

ჩვენი ცხოვრება აურაცხელ ფაქტებს იძლევა იმის დასამტკიცებლად, რომ ქართველი, საზოგადოდ, მწყრალადაა თავის მოვალეობის შეგნებასთან. გადახედეთ ჩვენს საზოგადოებრივ დაწესებულებებს: რაც უნდა მძიმე სა- [illegible] ციალური ცოდნა იყოს საჭირო იმ საქმის პირნათლად ასასრულებლად, ქართველი ერთ წუთსაც არ დაფიქრდება თავის ძალ-ღონეზე, არ დაფიქრდება, შეუძლია თუ არა მას ამა თუ იმ დაწესებულებაში შრომის გაწევა, და თავის დღეში უარს არ იტყვის კანდიდატობაზე და ბრძოლასაც გამართავს, თუ იმ დაწესებულებაში მისადებ ადგილთან ჯამაგირიც არის შეკავშირებული. მას არ აფიქრებს ის საკითხი, თუ რა დღე შეიძლება დაადგეს იმ საზოგადო სარგებლობისთვის გამოწყობილ საქმეს მისი მოუმზადებლობითა და შეუფერებელ მოღვაწეობით.

არიან, რასაკვირველია, ისეთი პირნი, რომელნიც ასეთ შემთხვევაში მხოლოდ თავის ეგოისტურ ინტერესებით ხელმძღვანელობენ და, თუმცა იციან თავის ძალღონის სისუსტე, მაინც ამა თუ იმ პირადის მოსაზრებით საქმეს ებღაუჭებიან. მაგრამ არიან ისეთნიც, რომელთაც გულწრფელად სჯერათ, რომ თავის ძალღონეზე დაფიქრება საჭირო არაა, რომ საკმარისია, მან საქმე იკისროს, და გაკეთებით უეჭველად გაკეთდება. ყოველ შემთხვევაში, ზნეობრივ მოვალეობის შეუგნებლობა იქაც და აქაც ცხადზე უცხადესია. როგორც პირველს, ისე მეორე შემთხვევაში ქართველი კრიტიკას არ უწევს თავის თავს, მიუდგომლად არ სჯის თავის შეძლებას, საზოგადო ინტერესს თავის პიროვნებას უმორჩილებს და ამით ცხადად ამტკიცებს, რომ მასში ჯერ არ გაღვიძებულა გრძნობა ზნეობრივ პასუხისმგებლობისა, არ შემუშავებულა შეგნება ზნეობრივ მოვალეობისა.

ყველა ცოტად თუ ბევრად განვითარებული ადამიანი ისეთ საქმეს არ მოსჰკიდებს ხელს, რომელსაც თვითონ ქვეშ მოექცევა და ადგილიდან ვერ დასძრავს. იგი ჯერ თავის ცოდნას, თავის უნარს შეხედავს და შემდეგ დაიწყებს განსაზღვრულ საქმიანობას. მას ან სხვისი სცხვენია, ან თავის თავისა, რომ საქმე ვერ შეასრულოს, და ამიტომ სიფრთხილით იქცევა და თავის ძალ ღონის აწონ-დაწონვის შემდეგ, კისრულობს რაიმე ვალდებულებას. მას საანბანო ჭეშმარიტებად მიაჩნია, რომ ყოველ საქმისთვის საჭიროა შესაფერი ცოდნა და მომზადება.

ჩვენში კი ასეთი დაკვირვება უარყოფილია, საქმე გამარტივებულია და არავის არ ეუცხოვება, როცა ვინმე ჩვენგანი ისეთ საქმეს დაადგება, რომლის მას არც თავი და არც ბოლო არ გაეგება. რასაკვირველია, ასეთი მოვლენა ისე ხშირი არ იქნებოდა ჩვენში, როგორც დღეს არის, ჩვენებური აღზრდა ოჯახსა და სკოლაში უკეთესი რომ იყოს, ვიდრე აქამდის ყოფილა და დღესაც არის. ამ მოვლენის სიხშირეს, ზნეობრივ მოვალეობის შეუგნებლობას ხელს უწყობდა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ჩვენში სუსტი იყო საზოგადოებრივი კრიტიკა. საზოგადო ასპარეზზე მომქმედს არავინ არ ადევნებდა თვალყურს, საზოგადოება არ ფხიზლობდა და ამიტომ არჩეულ თუ აურჩეველ „მოღვაწეს“ არაფრის ფიქრი არ ჰქონდა,—დარწმუნებული იყო, რომ მის უმოქმედობასა და უნაყოფობას არავინ შენიშნავდა, თვითონაც იძდენი ზნეობრივი შეგნება არ ჰქონდა, რომ თვისი უნაყოფობა და საქმისთვის შეუფერებლობა თვითონვე დაეგმო და დაეძრახა, და ამიტომ იყო გაჩუმებული და ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა.

ჩვენში დღესაც არ არის ძლიერი საზოგადოებრივი კრიტიკა და ამიტომ, დღესაც, ხშირია საზოგადო ასპარეზზე ამა თუ იმ ადამიანის ისეთი საქციელი, რომელიც მოწმობს ზნეობრივ მოვალეობის სრულს უარყოფას და სასაცილოდ აგდებას. მკითხველმა იცის, მაგალითად, რომ აგერ რამდენიმე თვეა, ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის მასწავლებლები იბრძვიან თავის უფლებების გასაფართოებლად. ყველას ეგონა და ჩვენც გვეგონა, რომ მასწავლებლები უფლებებს ეძებდნენ საზოგადო საქმის გასაუმჯობესებლად და უფრო მეტის წარმატებით წასაყვანად. გვეგონა, ერთმანეთში ისინი პასუხისმგებლობის გრძნობას გააღვივებდნენ და თავიანთ შრომას გააბარაქიანებდნენ. მაგრამ რას ვხედავთ ამის ნაცვლად? სექტემბრის პირველ რიცხვებში გაკვეთილები გაანაწილეს და გერმანულ ენის გაკვეთილები მისცეს ისეთ კაცს, რომელმაც ეს ენა ბერლინში შეისწავლა ორი თვის განმავლობაში. შეგვიძლიან წარმოიდგინოთ, თუ რა გერმანული ენა უნდა ასწავლოს ბავშვებს იმ მასწავლებელმა, რომელმაც თვითონ ამ ენის ცოდნა ასე ფეხმარდად შეიძინა!..

და განა ასეთი რამ შესაძლებელი იქმნებოდა, რომ იმ ,,მასწავლებელს‘‘ ძვალსა და რბილში ჰქონდეს გამჯდარი ზნეობრივ მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა? ცხადია, არა. მაშინ იგი თავის თავს ატყუებდა, რომ სკოლა ჯამაგირების დამრიგებელი ,,ბოგოდელნია‘‘ არაა და არ შეიძლება მოსწავლეთა ინტერესების უკუგდება და მასწავლებლის მაღალ მოწოდების სამასხაროდ აგდება...

გულწრფელი [illegible] საზოგადოდ საშინელი თვისება და ჭირვეულია. რაც უნდა დიდი შეცდომა და მარცხი მოუვიდეს მას, თავის დღეში არ გატყდება, რომ შესცდა, და თითქოს არ სწამს, რომ შეცდომა მხოლოდ იმას არ მოუვა, ვინც არაფერს აკეთებს და უსაქმურია. ის ობიექტიური მიუკერძოება თავის თავისადმი, რომელსაც შეამჩნევთ ყოველ კულტურულ ადამიანს, ქართველს აკლია და ძალიანაც აკლია. იმის ნაცვლად, რომ თავისი შეცდომა აღიაროს, იგი ყოველ ღონისძიებას იხმარს, რომ მის ცხადად ყალბ აზრსა ან მოქმედებას სხვადასხვა ხერხით მომხრენი და თანამგრძნობნი მოუპოვოს...

ამგვარ ქართველურ თვისებით ვხსნი მე იმ წერილს, რომლითაც ტფილისის სავთად-აზნაურო გიმნაზიის მასწავლებლებმა და აღმზრდელებმა მომმართეს გუშინ ,,ცნობის ფურცელში‘‘. იმათ საწყენად დარჩენიათ ჩემი გუშინ-წინდელი წერილი, სადაც, სხვათა შორის, ვამბობდი, რომ მასწავლებლებმა შეგირდები სასკოლო აგიტაციაში გარიეს-მეთქი. იმ ფაქტს, რომელიც დღესავით ცხადი და ნათელია ყველასთვის, ვინც კი სასკოლო კრებებს ესწრებოდა, ჩვენი პედაგოგები საკამათოდ მიხდიან და ამისთვის სამედიატორო სამართალში მიწვევენ. თვითონ კი თავიანთ პატარა წერილშიაც კი ამტკიცებენ იმას, რასაც მე ვამბოდი. გთხოვთ წაიკითხოთ: თქვენს სიტყვებში,—მწერენ ისინი,—,,ჩვენ, ტფილისის სათავად-აზნაურო კერძო გიმნაზიის მასწავლებელნი და აღმზრდელნი, ვხედავთ ცილისწამებას და სრულიად დაუმსახურებელს შეურაცხყოფას, როგორც ჩვენსას, ისე **ჩვენის ,,მოწაფეებისას‘‘.** გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ უკანასკნელ სიტყვებს: მასწავლებელ-აღმზრდელები ეუბნებიან თავის მოწაფეებს,—ჩვენთან ერთად თქვენც შეურაცხგყოთ გოგიჩაიშვილმაო. რა მიზანი უნდა ჰქონდეს ამ წაჩურჩულებას? აქვს თუ არა ხასიათი პროვოკაციისა ამგვარ ქცევას? ჯერ მარტო აპრიორულად, რა უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ის აღმზრდელები, რომელნიც თავისთან საბრძოლველად იკავშირებენ თავის მოწაფეებს გაზეთის ფურცელზე, სხვა დროსაც ჯარის-კაცებად არ რაზმავენ და სასკოლო აგიტაციაში მონაწილეობას არ აღებინებენ?

ასეა ხოლმე ჩვენში. ყველაფერი ,,საპაროდ‘‘ და საკამათოდ გახდება,—ისეთი რამეც, რომელსაც თითქო დამტკიცება არ ეჭირვება, ისე ყველასთვის ცხადი და ნათელი არის...

თუმცა ჩემთვის, მოუცლელობისა გამო, საძნელოა სასამართლოებში სიარული; თუმცა, უეჭველია, ასევე მოუცლელობის გამო, საძნელო იქნება ეს იმ კაცებისთვისაც, რომელთაც მე ავირჩევ და ძალაუნებურად ამ საქმეზე დროს დავაკარგვინებ; თუმცა, გარდა ამისა, სრულიად ზედმეტად და უალაგოდ ვთვლი ჩემ მოპირდაპირე პედაგოგების გამოწვევას, ვინაიდნ მე განვმარტე ის ფაქტი, რომელმაც საჯარო კრებებზე, ყველასთვის დასანახად, იჩინა თავი და, მაშასადამე, თვით საზოგადოებას შეუძლიან კრიტიკა გაუწიოს ჩემს სიტყვებს, მაგრამ მე მაინც თანხმობას ვაცხადებ სამედიტორო სასამართლოზე და ჩემის მხრით მედიატორებად ვნიშნავ ბ-ნნთ იაკობ ღოღობერიძეს და ივანე ზურაბიშვილს. მედიატორეთ მე წარვუდგენ წერილობით კითხვებს, რომელნიც საკამათო საგანს უფრო გააფართოვებენ და საზოგადოებრივ ხასიათს მისცემენ, და ვთხოვ, მათზე გადაჭრილად თავიანთი აზრი გამოსთქვან.

ფ. გოგიჩაიშვილი.

* * *

მოსალოდნელია

—

როდესაც საზოგადოება ორ ბანაკად გაყოფილია, როდესაც ხალხის დამონებული ნაწილი ცდილობს უფლებების მოხვეჭას და მეორე — ჟამამდის გაბატონებული, ამაში ხელს უშლის ხალხის უმეტესობას, როდესაც სახელმწიფოში გაბატონებული წრეები განმათავისუფლებელ მოძრაობის ჩასაქრობად ძალმომრეობას არ ერიდებიან და ხალხს კანონიერ ბრძოლის საშუალებასაც უსპობენ, მაშინ აუცილებელი ხდება საქმის ზედმეტი გამწვავება, რომელსაც ხშირად მოჰყვება მსხვერპლი და საშინელი უბედურება...

ამ გამწვავების დროს, სადაც ძალა არ გადის, ხერხი სჭრის, სადაც გაბატონებული წრეები ხედავენ, რომ ხალხის ძალა თანდათან მატულობს, რომ აშკარა ბრძოლაში ხალხის დამარცხება შეუძლებელი ხდება და რომ, დღეს თუ ხვალ, გაბატონდებიან ისინი, ვინც წინედ დაჩაგრულ-დამონებული იყო სახელმწიფოში.—ხერხს იგონებენ და უნდათ ამ ხერხით ჩააქრონ ხალხის გამოფხიზლება.

აცხადებენ: ხელი აგვიღია წინანდელ ბატონობაზე, ამბობენ, უარს ვამბობთ თვითნებობაზე, ამიერიდან კანონიერება დამყარდება სახელმწიფოში და ჩვენც თქვენთან ერთად ვალდებულნი ვიქმნებით მტკიცედ დავიცავთ კანონი და მის ძა[illegible] არ შორდებიან, კანონის ძალას და [illegible] ბას ახსენებენ იმისთვის, რომ კანონს დაუმორჩილონ ისინი, ვინც მას ყოველთვის ემონებოდა და ვინც ცდილობს სწორედ ამ კანონების შეცვლას ცხოვრების ახალ კანონების მიხედვით.

ამას ამბობენ და საქმით კი ისევ ძველებურად თვითნებობაზე აშენებენ თავიანთ გაბატონებას, კანონიერების ხსენება მათის მხრივ თვალთმაქცობა და მოტყუილება იყო,—სხვა არაფერი.

ხალხის განვითარებას მხოლოდ იქ მისცემია მშვიდობიანი მსვლელობა, სადაც გაბატონებული წრეები ამნაირ ხრიკებით არ ცდილან ხალხის დაბეჩავებას, სადაც ბრძოლას კანონიერი გზა მისცემია იმით, რომ ხალხს მინიჭებია სიტყვის, პრესსის და კრებების თავისუფლება, სადაც ხალხს ამის გამო შესძლებია გაბატონებულ წრეების ყოველი მოტყუილება გამოამჟღავნონ და დაამტკიცონ, რომ ამ წრეების მოქმედებაში ,,სიტყვა სხვაა, საქმე სხვა, შუა უძევს დიდი ზღვარი‘‘. მოქმედების, განვითარების, კრიტიკის დაკანონება აუცილებელია საქმით და არა სიტყვით.

თორემ თუ სიტყვით ხალხს ყოველგვარი უფლება ექმნა მინიჭებული და საქმით კი ამ უფლებების განხორციელებას თუ ხალხის ისეთივე დასჯა მოჰყვა, როგორიც მოჰყვებოდა მაშინ, როდესაც თავის ადამიანობის ხსენებაც კი იყო აკრძალული,—მაშინ ძნელია იმედი იქონიოს ვინმემ, რომ ხალხის მშვიდობიანი განვითარება არ დაირღვევა.

მთავრობის უკანასკნელ განცხადებაში ნათქვამია, რომ დღემდის ხშირი ადმინისტრატიულის წესით იმათი გადასახლება, ვისი საქმეც კანონის ძალით უნდა გაერჩია სასამართლოს და არა ადმინისტრაციას, ვისი გადასახლებაც ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ამიტომ, უკანონოა.

ამნაირი უკანონოდ დატუსაღებული და ჯერ არ გაგზავნილი დღესაც ბევრია. დღესაც ბევრია ისეთი, რომელიც დღეს თუ ხვალ უნდა გაამგზავრონ ჩრდილოეთის ცივ ქვეყნებისკენ, იმისთვის რომ ადგილობრივ ადმინისტრაციას ისინი მავნებელ პირებად მიუჩნევია.

თუ ყველა ამნაირ პირის გადასახლება შეაჩერეს და მათი საქმე სასამართლოს გადასცეს და ან თუ გაანთავისუფლეს მათში ყველა, ვიზე ადმინისტრაციას მხოლოდ ეჭვი ჰქონდა მიტანილი ვის წინააღმდეგ არც ერთი ხელმოსაჭიდი საბუთი მას არ ჰქონია, მხოლოდ მაშინ შესაძლებელი იქმნება იმის თქმა, რომ ეს განცხადება ნამდვილად სრულდება...

მანამდის კი გადაჭრილად არაფრის თქმა არ შეიძლება იმიტომ, რომ ადმინისტრატიულის წესით გადასასახლებლად გამზადებულნი დღეს კიდევ ციხეში თავის ჯერს ელიან...

კ. ს.

ისევ უპრინციპობა, ისევ უკაცობა

ჩვენ უკვე გამოვსთქვით ჩვენი ღრმა რწმენა, იმის შესახებ, რომ სკოლის უკეთესის ტიპისა და მომავლის შესაქმნელად საჭიროა მეთქი მომზადებული და მომქმედი საზოგადოება. კრების დაწყების დღეს, ჩვენ გულმხურვალედ მოვუწოდეთ ჩვენ საზოგადოებას და ვსთხოვეთ აქტიური და შეგნებული მონაწილეობა მიეღო ჩვენის გიმნაზიის სვე-ბედის გადაწყვეტაში და ჩვენი მოლოდინიც გამართლდა, მაგრამ... სავსებით კი არა.

25 სექტემბერს მომხდარ კრებას ხალხი ბლომად დაესწრო და საზოგადოებაც შეგნებულად მოეკიდა საქმეს. როგორც მოგეხსენებათ მასწავლებლებმა თავის პროექტში წამოაყენეს სამართლიანი პრინციპი. ჩვენ, სპეციალისტებს, ხელს ნუ შეგვიშლით ბავშვთა სწავლა-აღზრდის საქმეში, მოგვეცით ნება დამოუკიდებელნი ვიყოთ, ვინაიდან ჩვენ უფრო დაახლოვებულნი ვართ ამ საქმესთანაო, მაგრამ თხოულობდნენ რა ამ უფლებას, მასწავლებლები ძალიან შორს წავიდნენ და სასკოლო საზოგადოების უფლებანი გადალახეს.

25 სექტემბრის კრების მოვალეობა იყო გულდასმით აეწონ-დაეწონა მასწავლებელთა მოთხოვნილებანი და ამ მოთხოვნილებათა შესახებ გადაჭრილი აზრი გამოეთქვა. მართლადაც საზოგადოებამ კატეგორიულად აღიარა, რომ იმ საზოგადოებას, რომელიც თავის ხარჯით ინახავს სასწავლებელს, ნება უნდა ჰქონდეს სასწავლებლის მართვა-გამგეობაში მონაწილეობა მიიღოსო. ამ კრებაზე ხშირად ორატორები ლაპარაკობდენ დაფიქრებით, საქმის ცოდნით და ღრმა რწმენით. იგინი იცავდნენ სასკოლო საზოგადოების უფლებათ და ამავე დროს საჭიროდ სცნობდნენ პედაგოგიურ საბჭოსათვისაც დამოუკიდებლობის მინიჭებას. ამ გვარად, ახლად ამორჩეულ კომისიას დაუხატეს ის პრინციპიალური მხარეები, რომელშიაც უნდა ჩამოაყალიბონ გიმნაზიის რეორგანიზაციის პროექტი.

მაგრამ კრებას ერთი სხვა დიდი საქმეცა ჰქონდა გადასაწყვეტი. მას უნდა აერჩია ახალი გამგე კომიტეტი და აი, სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტის დროს, ჩვენმა საზოგადოებამ ვერ გამოიჩინა საკმაო მომზადება

საზოგადოება მოვალე იყო წინ და წინვე მომზადებულიყო კომიტეტის ახალ წევრთა არჩევნებისათვის. ვალდებული იყო გულდასმით და დიდის სიფთხილით გამოეძებნა ახალი კანდიდატები, აეწონ-დაეწონა თითოეულ მათგანის ღირსება და თვისება, მაგრამ შედეგებმა დაგვარწმუნა, რომ საზოგადოებას სრულიადაც არ უზრუნვია ამისათვის, იგი ამ შემთხვევაში, არ მომზადებულა შეგნებულ სამოქმედოდ. მართალია პირველ ხანებში დაასახელეს ისეთი პირნი, რომელთაც კრებაზედვე გამოიჩინეს თავისი თავი და გამოსთქვეს თავისი აზრი და შეხედულება სკოლის ცხოვრების ამა მცირე ალქოხნდა და საზოგადოება იძულებული იყო კრება გადაედო.

მეორე კრებაზე წამოაყენეს ისეთი კანდიდატები და მოვიდნენ ისეთი ამომრჩევლები, რომელთაც სასკოლო საქმე ძლიერ ნაკლებად ესმოდათ და რომელნიც სასკოლო კრებას პირველად ესწრებოდნენ.

ასეთივე სისუსტე გამოიჩინა საზოგადოებამ სარეორგანიზაციო კომისიის წევრთა არჩევნების დროსაც. აქაც დაასახელეს ისეთი პირნი, რომელთაც ჯერ არაფრით არ გამოუჩენიათ არც თავისი საზოგადოებრივი მიდრეკილებანი და არც სიყვარული ჩვენის საზოგადო საქმისა. ბატონებო! განა რომელ ქვეყანაში ხდება ხოლმე ასეთი არჩევნები, ან რომელი შეგნებული საზოგადოება ეკიდება საქმეს ისე აბუჩად?

ჩვენ ზემოდ მოვიხსენიეთ, რომ საზოგადოება სწორსა და მართალ გზაზე შედგა, როდესაც სკოლის რეორგანიზაციის საკითხის გულ-დასმით შესწავლა-დამუშავება განსაკუთრებულ კომისიას გადასცა მეთქი, მაგრამ მასწავლებლები კი კმაყოფილნი არ დარჩნენ საზოგადოების ამგვარის მოქმედებით და გამოაცხადეს: „ჩვენ სამსახურს თავს ვანებებთო!" რასაკვირველია თითოეულ ადამიანს ნება აქვს, როგორც უნდა ისე მოიქცეს, მაგრამ თუ მასწავლებლებმა გულს არ დაუხმეს, არ დაეთანხმნენ იმ საზოგადოების გადაწყვეტილებას, რომელი საზოგადოებაც პრინციპიალურად თანახმაა მიანიჭოს მასწავლებლებს დამოუკიდებლობა მოქმედებაში და მართლა სამსახურს თავი მიანებეს, ეს მასწავლებლები სკოლის საქმეებს უფრო გაართულებენ და მაშინ არც პიროვნული და არც საზოგადოებრივი ეთიკა აღარ აპატიებს მათ ასეთ მოქმედებას. ეს კარგად უნდა ახსოვდეთ ჩვენს მასწავლებელთ.

გარდა იმისა, რომ სასკოლო საზოგადოებამ ყველა კითხვებში ვერ გამოიჩინა მომზადება და შეგნება, თავის თავსაც პატივი არა სცა. როგორც მოგეხსენებათ სკოლის რეორგანიზაციის საკითხი დიდი ხანია აღელვებს ჩვენ საზოგადოებას, და როდესაც იგი საკითხი გამგე კომიტეტმაც წამოაყენა კრებაზე, ამით ანგარიში გაუწია საზოგადოების გულის თქმას, მაგრამ ის კი მოსაწონი არ არის, რომ კომიტეტმა მოითხოვა ამ საკითხის ერთის ნაწილის დაკანონება—თვისი შეთანხმება საპედაგოგიო საბჭოსთან,—ხოლო თვით სკოლის რეორგანიზაციის საკითხი გადაუჩქარა და საზოგადოებას ნება არ მისცა, ამ საკითხს არსებობითად შეხებოდა.

კომიტეტი რომ კრებას მაინც და მაინც არ აფასებდა, ეს დიდი ხანია ვიცოდით, მაგრამ საზოგადოებამაც რომ თავის თავს პატივი არა სცა, ეს კი ჩვენთვის გაუგებარი და საკვირველია. ჩვენ რომ მომზადებული და მომწიფებული საზოგადოება გვყოლოდა, განა მოუთმენდა კომიტეტს სასკოლო საქმის შესახებ ძირითად საკითხის გადაფუჩეჩებას და არ შესძახებდა: „რა ნება აქვს კომიტეტს ამ საკითხის გადაფუჩეჩებისა?

ამ გვარად, ვითვალისწინებთ რა კრების გადაწყვეტილებათა შედეგებს, ჩვენ ვამტკიცებთ რომ;

1) სასკოლო საზოგადოებამ შეგნებულად წამოაყენა ჩვენის გიმნაზიის რეორგანიზაციის საკითხი

2) საზოგადოებამ ვერ გამოიჩინა იდეური ვაჟკაცობა, რომ ერთის დაკვრით ბოლო მოეღო ძველის კომისიის ტრადიციებისათვის.

3) საზოგადოებამ საკმაო მომზადება და მოფიქრება ვერ გამოიჩინა კომიტეტისა და კომისიის წევრთა არჩევნების დროს და ამიტომაც ვერ [illegible]ბისა.

4) მასწავლებელთა განცხადება სამსახურიდან გადადგომის შესახებ დაგმობაა საზოგადოებრივის ეთიკისა.

ახლა ვიკითხოთ: სამართლიანი წამოყენება რეორგანიზაციის შესახებ საკითხისა განა უზრუნველ ჰყოფს ამ რეორგანიზაციას და ჩვენის გიმნაზიის ცხოვრებას ნორმალურ გზაზე დააყენებს?

ჩვენ ვამტკიცებდით და ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, რომ ვიდრე თვით საზოგადოება არ მიიღებს აქტიურ მონაწილეობას სკოლის საქმის წესიერად წარმართვაში, თუ იგი განუწყვეტლივ თვალ-ყურს არ ადევნებს სკოლის ცხოვრების თითოეულ მხარეს, თუ იგი გულ დასმითა და ზედ მიწევნით არ შეისწავლის რა პირობებშია ჩაყენებული ევროპის კულტურულ ხალხთა სკოლები,—ყოველთვის ასე ზერელედ მოეკიდება საჭირო კითხვათა გადაწყვეტას და ან გადასწყვეტს ისე, როგორც სურს გამგე კომიტეტს, ან პედაგოგიურ საბჭოს. ვიდრე საზოგადოება არ მომწიფდება და შეგნებულად არ მოეკიდება თავის მოვალეობათა აღსრულებას, ვერც სკოლის რეორგანიზაცია და ვერც არჩევანი ამა თუ იმ პირთა ვერ შექმნიან სასურველ ტიპს ჩვენის ეროვნულ სკოლისას.

ისკანდერი.

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

29 სექტემბერი.

ლომჟა, 28 სექტემბერი. ხოლერის გავრცელების თავიდან ასაცილებლად გადაწყვეტილია: დააარსონ ორი საობსერვაციო პუნქტი და ვარშავის გზათა-მიმოსვლის ოლქის ხარჯით ექიმები მოიწვიონ.

ბაქო, 28 სექტემბერი. ნავთის მწარმოებელთა რჩევამ საკმარისად არ სცნო აწ არსებული ზომები ქარხანათა დაცვისათვის; შეუძლებლადა და საშიშად სცნო აგრეთვე მუშაობის დაწყება.

გომელი, 28 სექტემბერი. წუხელის ისპრავნიკი ბლონსკი სასიკვდილოდ დასჭრეს.

მოსკოვი, საინჟინერო სასწავლებლის დირექტორად ასახელებენ ახლანდელს—მაქსიმენკოს და პროფესორს ეიხენვალდს. სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში დირექტორად ამოირჩიეს შიუკოვი, მის თანაშემწედ იგერენკო.

ყაზანი, 28 სექტემბერი. გუბერნატორი აცხადებს: დემონსტრაციებში მონაწილეობა არავინ მიიღოს, რადგანაც სასტიკი ზომები იქნება ხმარებული, ხოლო მოწაფეთა დედ-მამებს სთხოვს გავლენა იქონიონ თავისს შვილებზე.

ვოლოგდა. ქალაქის საბჭომ დაადგინა: ხელმეორედ წარუდგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დასამტკიცებლად თავისი გადაწყვეტილება—ქალაქის თავად არჩეულ გალიუშინის შესახებ.

ტოკიო. იაპონელებმა შეიპყრეს გერმანელი გემი „ემსტრუვე" ფუზანის წყლებში, ხოლო გემი „ვაგნერი"—ცუსიმას წყლებში. ორთავეს ვლადივოსტოკში კონდრაბანდა მიჰქონდათ.

მოჯი, 17 სექტემბერი. ბრიტანიის გემი „დეხო" შანდუნის კანდელიდან 90 მილის მანძილზე, მცურავ ნაღმს წააწყდა, დაიღუპა 15 კაცი.

პეტერბურგი, 28 სექტემბერი. ლომჟის გუბერნიაში 26 სექტემბერს 5 კაცი ხოლერით ავად გახდა, ორი მათგანი გარდაიცვალა.

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი. ცნობილი ფინანსისტი ამერიკანელი ფლინტი ევროპაში წამოვიდა. ფლინტი მიდის პეტერბურგში ამერიკის სამრეწველოების გავრცელების შესახებ მოსალაპარაკებლად.

[illegible] დღეს პარლამენტის სესია დახურა.

სოფია, 28 სექტემბერი. გერმანიისა და საფრანგეთის ფინანსისტები ბოლგარიაში ბანკების დაარსების საქმეს ძალიან ხელს უწყობენ. პარიზის ბანკმა იყიდა უნგრეთის კომერციულ ბანკის მიერ დაარსებული სავაჭრო ბანკი.

ლონდონი, 28 სექტემბერი. „ტაიმსი" ამბობს, ინგლისს იმედი უნდა ჰქონდეს, რომ რუსეთისა და ინგლისის დამოკიდებულება შესამჩნევად შეიცვლება. ამჟამად არსებობს ძლიერი [illegible], რომელიც ხელს უშლის რუსეთის ტრადიციულ პოლიტიკის შეცვლას, მაგრამ რამდენადაც გარემოებამ დაგვანახვა, ამგვარ ცვლილების ნიშნები უკვე არის.

ბელგრადი, 28 სექტემბერი. რადგანაც სერბიისა და ბულგარიის შორის დამოკიდებულება ცოტა არ იყოს შეირყა, მეფის სიტყვაში, რომელიც სკუპშინაში იქმნება წაკითხული, ნახსენები იქმნება მხოლოდ, რომ მეზობელ ქვეყნების შესახებ კარგი დამოკიდებულება უნდა იქონიონ, მაშინ როდესაც მეფის წარსულ სიტყვაში მოყვანილი იყო სერბიისა და ბულგარიის შორის მეგობრული დამოკიდებულება.

ვარშავა, 28 სექტ. რადგანაც უნივერსიტეტის გახსნის შესახებ საკითხის გადაწყვეტა მეტად გაძნელდა, რუსის სტუდენტებმა მთავრობას კოლექტიური თხოვნა მისცეს და შუამდგომლობენ, ჩვენ მიერ ამორჩეულ უნივერსიტეტებში გადაგვიყვანეთო.—ვარშავაში 11,000 კაცს აქვს ნება სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატების არჩევის.

სმოლენსკი, 28 სექტემბერი. აქ დაარსდა სრულიად რუსეთის ქალთა უფლების გათანასწორების ორგანიზაცია.

ვილნა, 27 სექტემბერი. დღეს, საღამოთი, სასახლეში დაიწყო საერობო დაწესებულებათა შემოსაღებად არჩეულ წარმომადგენელთა კრებები. რადგანაც კრებას პრინციპიალურად გადაწყვეტილი აქვს, რომ გლეხთა წარმომადგენლობა პროპორციონალურად უნდა უდრიდეს მიწა-მფლობელობას, ხმის უმეტესობით გადასწყვიტეს გლეხებს ნება მიეცეთ თავის წოდების გარეშეც ამოირჩიონ წარმომადგენლები. კრებები სამს დღეს გასტანს. არჩეულ იქმნა მოსამზადებელი კომისია.

ტომსკი, 28 სექტემბერი. სამი დღეა, რაც იმართება საზოგადო ყრილობები, თათბირობენ: ინსტიტუტსა და უნივერსიტეტში დაიწყონ თუ არა სწავლა. პრინციპიალურად მომეტებული ნაწილი სწავლის დაწყების სურვილს აცხადებს.

სიმფეროპოლი, 28 სექტემბერი. ყირიმის თათრების შუამდგომლობა, რომ ყირიმის დივიზიონი პოლკად გადაკეთდეს და თათრებმა სამხედრო ბეგარა იქვე გადიხადონ, მინისტრმა დააკმაყოფილა.

კრემენჩუგი, 28 სექტემბერი. ქალთა უფლების გათანასწორების შესახებ საერობო კრება იმ აზრს დაადგა, რომ ქალებს საქალაქო და საერობო თვითმართველობაში მხოლოდ საარჩევნო უფლებანი მიეცეს.

ბაქო, 28 სექტემბერი. ნავთის ქარხნებში ვიშკების კეთებას აჩქარებენ.

ვენა, 28 სექტემბერი. იმპერატორმა გამოიწვია ფეიერვარი, რომელიც საღამოზე მოვა: როგორც ამბობენ, ფეიერვარს კაბინეტის შედგენას ხელ-ახლა მიანდობენ.

ყაზანი, 28 სექტემბერი. უნივერსიტეტის რექტორმა გამოაცხადა: თუმცა საბჭომ სტუდენტები არა ერთხელ გააფრთხილა, რომ კრებებზე გარეშეთ დასწრების ნებას ნუ მისცემთ, მაგრამ სტუდენტებმა ეს არ შეისმინეს და ამიტომ საბჭომ გადასწყვიტა, უნივერსიტეტი დახუროს 28 სექტემბრიდან 6 ოქტომბრამდე.

რეფორმები რუსეთში

ირკუტსკის სამღვდელოების კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა, რომ **ახლანდელ რეფორმას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება**, თუ ხალხს დაუყონებლივ არ მიეცა თავისუფლება სიტყვისა, ბეჭდვისა, და კავშირებისა, კრებისა, ხელუხლებლობა პიროვნებისა და განთავისუფლებულ არ იქმნენ პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ რწმენისთვის დასჯილნი, გადასახლებულნი და დაპატიმრებულნი; სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების ნება უნდა ჰქონდეს ყველას, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა; შემოღებულ უნდა იქმნას საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლება ფარულ კენჭის ყრით; საერო წარმომადგენლობას უნდა მიეცეს უფლება კანონების გამოცემისა, აღმასრულებელ მთავრობის კონტროლისა, სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვის განხილვისა და ომის გამოცხადებისა და ზავის ჩამოგდებისა; უნდა შემოღებულ იქმნას ფართო ადგილობრივი თვითმართველობა; საბოლოოდ გადაწყდეს აგრარული საკითხი, გაუქმება წოდებისა, უფასო და სავალდებულო სწავლა, თანასწორობა კანონის წინაშე, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება (რ. ვ.).

◆ სახელმწიფო სათათბიროს 6 აგვისტოს დებულებაში ნათქვამი იყო, **სამხედრო პირებს საარჩევნო უფლება არ ეძლევათ**. ახლად გამოსულ დამატებით დებულებაში კი ნათქვამია, რომ სამხედრო პირებს ნება აქვთ თავიანთი კენჭი ნათესავებს გადასცენო (რ. ვ.).

◆ მთავარ სამხედრო სასამართლოს უფროსმა გენ. პავლოვმა ბრძანება გასცა, რომ ოფიცრები შეჩერდნენ ხოლმე და ისე მისცენ მას **სამხედრო სალამი** (ს. ო.).

◆ სამთო ინსტიტუტის საბჭომ გადასწყვიტა—სტუდენტთა სასადილო, კასსა, ბიბლიოთეკა და სამკითხველო **ისევ სტუდენტებს გადაეცეს** (რ. ვ.).

◆ სარატოვის გუბერნიაში უკვე დაწყებულა სათათბიროში წარმომადგენელთა არჩევნები. პეტროვსკის მაზრაში **გლეხებს მთავრობის კანდიდატები გაუშავებიათ** და ლიბერალები ამოურჩევიათ. (ს. ო.).

◆ **კონსტიტუციონალ-დემოკრატების ბიურომ** მთელ რუსეთში გაგზავნა მომავალ კრებაზე მოწვევის ბარათები. კრებაში მონაწილეობას მიიღებენ თითო გუბერნიიდან ადგილობრივ პარტიების ორ-ორი წარმომადგენელი და ორ-ორიც ჟურნალისტებისა, ვექილებისა და ექიმების კავშირებისა. ამბობენ, ეს პარტია საერობო პარტიაზე დიდი და ძლიერი იქნებაო (ნ. ვ.).

◆ მოსკოვის ექიმთა კრებამ დაადგინა—**ენერგიული პროტესტი** გამოუცხადოს იუსტიციის მინისტრს და უმიზეზოდ დაპატიმრებულ ვექილების განთავისუფლება მოსთხოვოს. ვექილები ადმინისტრატიულ თვითნებობის მოსპობასა და სიკვდილით დასჯის გაუქმებას თხოულობენ (ნ. ვ.).

◆ საზღვაო მინისტრის წინადადებით, მთავრობამ საზღვაო **სამხედრო სასამართლომ ვექილებს სასამართლოებში მატროსების დაცვა აუკრძალა.** ამიერიდან დამნაშავე მატროსებს ოფიცრები დაიცავენ (ს. ო.).

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ოდესსა. 29 სექტემბერი. სტუდენტების ყრილობამ დიდის ხმის უმეტესობით გარდასწყვიტა, ვიდრე ოდესაში სამხედრო წესები არ გაუქმდება, უნივერსიტეტში სწავლა არ დაიწყონ.

ახალი ამბავი

სამკერვალო მაღაზიის პატრონმა იაკინთე ლალანიძემ ტფ. **გენერალ-გუბერნატორთან საჩივარი შეიტანა კაზაკ-რუსებზე.** ლალანიძეს როგორც თვითონ სწერს, 26 სექტემბერს, 6 საათზე, დაუკეტია მაღაზია და თავის ნათესავებთან, კოტე ლალანიძესა და სილიბისტრო ბოჩოლეიშვილთან ერთად, დაბრუნებულა თავის ბინაზე, პოლიციის მე-6 ნაწილში. როცა „არბუზნი" მოედანში მისულან, გასაჩხრეკად შემოხვევიან კაზაკ-რუსები. გაუჩხრეკიათ ჯიბეები და, რაკი საწინააღმდეგო ვერა უპოვნიათ-რა, წაურთმევიათ

ფელეტონი

წერილი გერმანიიდან.

აღმოსავლეთ-ევროპის დიადმა ამბებმა დასავლეთ ევროპის ცხოვრებაც აღელვა, ჩვეულებრივი კალაპოტიდან ამოაგდო და რეაქციონურ ელემენტების კაპრიზებს შესამჩნევი დაღი დაასვა. როდესაც რეაქციის ერთ-ერთი დამამაგრებელი ბოძი ელლება, იგი სრულებით ჰკარგავს თავს და მოუფიქრებლად ავანტიურიზმის მორევში ვარდება. ეს ისტორიული სინამდვილე დღეს ერთხელ კიდევ მართლდება. მთელი დასავლეთ-ევროპის დღევანდელი ცხოვრების ნასკვებში ეს თვისებაა წითელ არშიად გატარებული. განსაკუთრებული გამოხატულობა ჰპოვა ამ ისტორიულმა სინამდვილემ ევროპის ყველაზე უფრო რეაქციონურ ნაწილში—გერმანიაში. ამას წინად მაროკოს კითხვამ კინაღამ ომი ასტეხა გერმანიასა და საფრანგეთს შორის. ეხლა კიდევ ინგლისსა და გერმანიას შორის არა ნაკლები გამწვავებული ურთიერთობაა დამკვიდრებული. გერმანიის რეაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ თავისი უგუნურება ერთხელ კიდევ გამოაჩინოს და პოლიტიკურ წრეებში სალაპარაკო საგნად გადააქციოს. თუ რეაქცია დღეს ასე იქცევა, გერმანიის პროლეტარიატს სრული წინააღმდეგი პოზიცია უჭირავს; ეს ასეც უნდა იყოს: თუ პირველს ერთ-ერთი დამამაგრებელი ბოძი ელლება, მეორეს შეურიგებელი, მოსისხლე მტერი უკვდება, ამიტომ თუ პირველი სცდილობს ძველი ბოძის მაგიერი იპოვოს სადმე, მეორე აშურებს მთელ თავის ფიზიკურ და სულიერ ენერგიას რეაქციის ამ მისწრაფებათა წინააღმდეგ; თუ პირველი იმისკენ მიისწრაფოდა, მეორემ ყოველი ღონისძიება იხმარა, რომ თავიდან აეცილებინა ეს ომი: გერმანიასა და საფრანგეთს შუა აღძრულ კონფლიქტის დასაამებლად ცნობილი ჟორესი ბერლინში უნდა წასულიყო, რომ იქაური პროლეტარიატისათვის ერთხელ კიდევ გაეხსენებინა, რომ მუშათა კლასის ინტერნაციონალური სოლიდარობა ერთ-ერთი აუცილებელი საშუალებათაგანია პროლეტარიატის გამარჯვებისა, რომ საფრანგეთის პროლეტარიატს ესმის ეს და ძმურ სალამს უგზავნის გერმანელ მოძმეთ, მაშინ როდესაც შესაძლო უგუნურ ომის წინააღმდეგ სასტიკ პროტესტს აცხადებს. თავ. ბიულოვმა შვენივრად დაახასიათა თავისი დიპლომატიური შორსმჭვრეტელობა და ნიჭი იმით, რომ ჟორესს ბერლინში ლაპარაკის ნება არ მისცა: „ეს სოციალ-დემოკრატიას გააძლიერებსო!" აღიარა „გამოჩენილმა" დიპლომატმა: „არაჩვეულებრივი, ჯერ კიდევ გაუგონარი, უმაგალითო სირცხვილი აჭამა ბიულოვმა თავის თავსო!" ამბობდა ბებელი კონსტანცში, სადაც ივნისის შუა რიცხვებში ინტერნაციონალური კონგრესი იყო გამართული პროლეტარიატის სოლიდარობის ნიშნად. ბიულოვის დიპლომატიურმა ნიჭმა აქ ღირსეული დაფასება მიიღო, რეაქციონურ მთავრობის განზრახვებს აქ ფარდა აეხადა და პროლეტარიატმა ერთხელ კიდევ საქვეყნოდ აღიარა თავისი პოზიცია ასეთ კონფლიქტების დროს. აი, რას ამბობდა ბებელი ამ კონგრესზე: „მთავრობას არ სურს ორივე მხარის (გერმანიის და საფრანგეთის) პროლეტარიატის შეერთ-კავშირება, რადგან შოვინისტურ წინააღმდეგობაში ხედავს თავის რეაქციონურ და მილიტარულ პოლიტიკის განხორციელების ერთად-ერთ და საუკეთესო საფუძველს; მაგრამ ევროპაში უკვე გაჰქრა ის დრო, როდესაც კაპიტალის ინტერესების განსახორციელებლად შესაძლებელი იყო ერთი ხალხის მეორეზე მისევა, ძმიდან ძმის სისხლის ქცევა; ხალხი დღეს თვითონ საკუთარ ხელში იღებს თავის სვე-ბედს, დღეს თვითონ სურს მას მისი გადაწყვეტა". ასეთი პოზიცია დაიჭირა სოციალ-დემოკრატიამ უკვე აღნიშნულ კონფლიქტში.

ეხლა ვნახოთ, რა ბრძოლის ტაქტიკას დაადგა იგი დღევანდელ ცხოვრების გამოცვლილ პირობებში, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპის სიტუაციამ გამოიწვია.

17 (4) სექტემბერს დაიწყო გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პარტეიტაგი. პარტეიტაგს ორი შესამჩნევი მოვლენა მიუძღოდა წინ, რომელთაც ასეთი თუ ისეთი გავლენა უნდა ჰქონოდათ პარტეიტაგის მუშაობაზე. ერთი ამათგანი პროფესიონალურ კავშირთა კელნის კონგრესია და მეორე კიდევ ახალი პარტიის—ანარქო-სოციალისტების წარმოშობა.

პროფესიონალურ კავშირების გაფართოებასა და განვითარებას გერმანელი სოციალ-დემოკრატია იჭვის თვალით უყურებდა, მას არ სწამდა, რომ პროფესიონალური ორგანიზაციები გერმანიაში რაიმე გასავალს მოიპოვებდენ; კელნის პარტეიტაგი საუკეთესო საბუთია სოციალ-დემოკრატიის და პროფესიონალურ კავშირთა განვითარების ასეთი ურთიერთობისა: აქ არა ერთხელ გამოითქვა ის აზრი, რომ ძნელი დასაჯერებელია, რომ პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა რაიმე გასავალი მოიპოვონ გერმანიაშიო. პროფესიონალურ კავშირთა მეხუთე კონგრესმა იმავე კელნში ნათლად დაგვიმტკიცა გერმანიის სოციალ-დემოკრატების შეცდომა და დაგვანახვა, რომ პროფესიონალურმა კავშირებმა არა თუ მკვიდრი ნიადაგი მოიპოვეს გერმანიაში, არამედ მათი განვითარება ისეთი სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ და ისე გაიტაცა მუშა ხალხის ერთი ნაწილი, რომ სოციალ-დემოკრატიის პარტეიტაგებზე მოცემულ დირექტივებს პროფესიონალურ კავშირთა მეხუთე კონგრესმა ბრძოლა გამოუცხადა და კინაღამ ჩამოსცილდა პარტიას. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ჩვენთვის ამ კონგრესზე აღძრული კითხვა გაფიცვების და ამ კითხვაზე მჭიდროდ შეკავშირებულ პირველი მაისის ასეთ თუ ისეთ უქმობის შესახებ. რურის და კრიმიჩაუს დიდ გაფიცვების წაგებამ—ერთის მხრით—და სხვა, შედარებით უფრო უმნიშვნელო და პატარა გაფიცვების ნაყოფიერებამ—მეორე მხრით—შესაფერი ნიადაგი მოუმზადა „პოლიტიკის" წინააღმდეგ და მხოლოდ საკუთარი ვიწრო ინტერესებისთვის ბრძოლის სასარგებლოდ ქადაგებას; ასეთი ქადაგება თანდათან იზრდებოდა და მუშათა ფართო წრეებში უფრო და უფრო მეტ თანაგრძნობას პოულობდა. კელნის კონგრესზე ამიტომ „პოლიტიკის" მოწინააღმდეგენი უფრო თამამად გამოვიდნენ და რევოლუციონურ სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ კონგრესის თითქმის ყველა რეზოლუციებში წითელ არშიად გაატარეს პოლიტიკური ბრძოლის უარყოფა. პოლიტიკური მასსიური გაფიცვა ამ კონგრესზე უარყოფილ იქმნა და ბებელბერგის მოხსენება დიდი თანაგრძნობით იყო მიღებული. „ჩვენი განვითარების აუცილებელ პირობას სიწყნარე წარმოადგენსო!" ამბობდა ბებელბერგი. „მაგრამ აქ გამოდიან ლიტერატორები და სწერენ და სწერენ... მაგრამ რაც უნდა ქმნან ლიტერატორებმა, მუშათა მოძრაობას მაინც ვერავითარ სამსახურს ვერ გაუწევენ (თანხმობა)... ვინც ასე მჩატედ ლაპარაკობს პოლიტიკურ მასსიურ გაფიცვის შესახებ, მას პრაქტიკულ მუშათა მოძრაობისა სრულებით არაფერი არ ესმის (მართალია?). მაგრამ გვკითხავენ, როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო უფლებას წაგვართმევენო! ჩვენ მაშინ მტრების წინააღმდეგ ისეთ საშუალებას ვიხმართ, რომლითაც თავის დროულად მივიმჩნევთ, მაგრამ თუ რეაქციონერებმა ამისდა დაუხედავად მაინც წაგვართვეს საარჩევნო უფლება, ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ ჩვენ არსებობას მაშინ ბოლო მოეღება (ხმები: არა, რა საკვირველია!); თუ წაგვართმევენ კავშირების უფლებას, ნუ თუ გგონიათ, რომ ბოლო მოგვეღება! (ისეთივე ხმები). იმის შეგნებამ, რომ ჩვენ უსამართლოდ გვექცევიან, დიდი ხანია, მძლავრი ძირები გაუშვა მუშა-ხალხში. ჩვენ ვიცით, რა ადამიანური უფლება გვენიჭება, და არავითარ რეაქციას არ ძალუძს ამ ცოდნის გაქარწყლება. თუ გავაძლიერებთ ჩვენ ორგანიზაციებს და ისე გავზრდით მის წევრებს, რომ თვითეულ მათგანს ნათლად ჰქონდეს წარმოდგენილი თავისი კლასობრივი ინტერესები და თვითეული მათგანი მუდამ მართალი იყოს თავის რწმენისა, იმ შემთხვევაში შეგვეძლება თამამად უყუროთ მომავალს. იმ შემთხვევაში თუ გაისმა ხმა: იბრძოლეთო! მუშათა კლასი თავის ადგილას იქნება და მიაღწევს თავის მიზანს" (ხანგრძლივი ტაში).

ამის შემდეგ ადვილი გასაგებია, თუ რა შეხედულებისა იქნებოდა კონგრესი პირველ მაისის უქმობაზე. აურებელ რეზოლუციათა შორის, რომლებიდანაც თითქმის ყველა ერთი ხასიათისანი იყვნენ, აღსანიშნავია შმიდტის რეზოლუცია. აქ შმიდტი წინადადებას აძლევდა კონგრესს, მუშაობის შეჩერების ასაცილებლად საუკეთესო იქნება პირველი მაისი საღამოს დემონსტრაციით აღვნიშნოთო! რეზოლუციამ მომხრენი ნახა, მაგრამ კითხვა საბოლოოდ მაინც არ გადაუწყვეტიათ. რასაკვირველია ასეთი მოვლენა უთუოდ იქონიებდა გავლენას პარტეიტაგის მუშაობაზე, როგორც უკვე ვსთქვით, და მართლაც მთელი მოხსენება პირველ მაისობის შესახებ წარმოადგენდა რობერტ შმიდტის წინააღმდეგ მიმართულ საომარ იარაღს. მოხსენების ავტორი ფიშერია. პირველათ ორატორმა ახსენა კელნის კონგრესი და ამხანაგების განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ კონგრესზე პარტიის და ზოგიერთ მის წევრთა შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას. ამ მხრივ დამახასიათებლად იცნო შმიდტის რეზოლუცია და გაჩერდა მაზე. რობერტ შმიდტი ამბობდა კელნის კონგრესზე, რომ ვითომც მისი რეზოლუცია პარტეიტაგის გადაწყვეტილებას სრულებით არ ეწინააღმდეგება, ვითომც თვითონ პარტეიტაგმა დააყენა ეს კითხვა ისე, როგორც მან—შმიდტმა, რომ ამიტომ იგი თავისს და პარტეიტაგზე მიღებულ რეზოლუციებთა შორის ვერავითარ უთანხმოებას ვერ პოულობს. ამაზე ფიშერმა უპასუხა, რომ პარტეიტაგმა მართლაც ასე დასვა კითხვა, მაგრამ ეს შმიდტს სრულებით არ ამართლებს, რადგან პარტეიტაგმა იქვე გამოსთქვა აზრი, რომ გერმანელ სოციალ-დემოკრატიის მოვალეობაა ინტერნაციონალური კონგრესის თანახმად იმოქმედოს, რამდენადაც ამას ხელს არ უშლის გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა; ამას გარდა პარტეიტაგს მუდამ სახეში აქვს, რაიმე გადაწყვეტილების ასრულების დროს, წინსვლა და არა უკან ხევა, როგორც ამას შმიდტი გვირჩევს თავის რეზოლუციითო! „მარტო პოლიტიკური პატიოსნება კი არა, პოლიტიკური აზრიც, რომელმაც საკუთარი ძალები კარგათ იცის, რომელიც ადარებს მათ მოწინააღმდეგეთა ძალებს, რომელსაც ესმის, რა უნდათ მოწინააღმდეგეთ,—ეს პოლიტიკური აზრიც მოითხოვს, რომ სოციალ-დემოკრატია ძველ პარტეიტაგების გადაწყვეტილებაზე კი არ გაჩერდეს პირველი მაისის უქმობის შესახებ, არამედ ეკონომიურ ურთიერთობათა და ძალების განვითარე-

ფულად 105 მან. და ერთი ბუხრის ქუდი, 10 მან. ღირებული. ამ ამბავს დასწრებია მეეზოვე, მაგრამ მას ვერა გაურიგებიარა. ამგვარისავე საჩივრით, მხოლოდ სიტყვიერად, პოლიციის მე 6 ნაწილის ბოქაულისთვის მიუმართავს ოლქის სასამართლოს მდივნის თანაშემწეს ბასტიანოვს. როგორც ბასტიანოვი ამბობს, იმის თვალწინ კაზაკებს გაუძარცვავთ ვიღაც პირები და თუ რაიმე ფასიანი ჰქონიათ, ამოუცლიათ. „არბუზნი" მოედანზე წყლის ონკანია. ღიაა იგი 7 დან 9 საათამდე. აი აქ, ბასტიანოვის სიტყვით, კაზაკ-რუსები გამვლელ-გამომვლელთ სინჯავენ და, თუ მოახელეს რამე, ართმევენ. გუშინწინ 15-მდე კაცი მისულა ბოქაულ გურგენიძესთან ამგვარის განცხადებით.

◆ „ნოვ. ვრ." გადმოგვცემს, რომ 22 სექტემბერს კობეკოს კომისიამ მოისმინა ვარშავისა და კავკასიის საცენზურო კომიტეტების თავმჯდომარეთა აზრი ადგილობრივ არა-რუსულ პრესის შესახებ. ვარშავის ცენზორის აზრით, პოლონელთა პრესის გოდება სამართლიანი არ არის და ცენზურა პოლონურ პრესისთვის საჭიროა. კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარემ კი, პირიქით, **ადგილობრივ პრესისთვის შევიწროვებანი მავნებლად სცნო** და ამის დასამტკიცებლად კავკასიის უკანასკნელი ამბავი აღნიშნა. დასასრულ ბ. გაკკელს უთქვამს, ადგილობრივ პრესის მდგომარეობის გაუმჯობესება არამც თუ ვნებას არ მოიტანს, არამედ მკვიდრთა გულწრფელს სიმპატიას გამოიწვევსო. თუ შერიგება გინდათ, ასე უნდა მოიქცეთო—დაუმთავრებია გაკკელს თავისი სიტყვა. გაკკელის აზრს მიმხრობია თათრულ პრესის ცენზორი ბ. სმირნოვიც.

◆ ხმა დადის, რომ კავკასიის პოლიციას სათანადო მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს: კაზაკთა მაგიერ დრაგუნებმა შეასრულონ მათი მოვალეობანი და **კაზაკები ქალაქიდან გაყვანილ იქმნენო.**

◆ ვოლოვიზის ქუჩაზე, **ყუმბარის სროლის შემდეგ**, მოკლულ იქმნა ერთი მუშა, რომელსაც ჯიბეში პეტრე მურხანაშვილის სახელზე პასპორტი უპოვნეს, გვერდზე გატენილი ყუმბარა ეგდო. იქვე მეორე ქუჩაზე ეჭვი მიიტანეს და შეიპყრეს პლატონ ჩახანელიძე. დაიჭირეს აგრეთვე ავაქ არუთინოვი, რომელზედაც ჯარის-კაცნი უთითებენ, ყუმბარა მაგან ისროლაო, არუთინოვის გარდა დაჭერილია სენაკის მაზრის მცხოვრები ხორცანიაც.

◆ ტფ. სასინოდო კანტორის ხაზინადარს ცნობილ არდაზიანს გრაკალში ჰქონია 33 დეს. ადგილი, სოფ. ხეკორძში—ტყე და სახნავი 35 დეს. და ელისაბედის ქუჩაზე და დიდუბეში ორი სახლი. გამომძიებლის დადგენილებით **ამ მამულებს „არესტი" დაადეს.**

◆ სამშაბათს, 27 სექტემბერს, მ. კოსოვსკის კერძო ქალთა სამკერვალოში, რომელიც იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, შადინოვის სახლში, **მომუშავე ქალები გაიფიცნენ** და პატრონს შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინეს: 1) ცხრა საათის სამუშაო დღე, (აქამდინ 12 საათს მუშაობდნენ) საუზმე და სადილისთვის 1 საათის დასვენება; 2) ხელფასის მომატება და ჯამაგირების თვიურად დანიშვნა; 3) კვირა-უქმე დღეებში მუშაობის მოსპობა; 4) გაფიცვის დღეების ჯამაგირის უკლებლივ მიღება და 5) ადამიანური მოპყრობა. ქალებმა განაცხადეს, სანამ ამ მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებთ, არც ერთი ჩვენთაგანი მუშაობას არ დაუბრუნდებაო.

◆ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი: **დედაკაცი და მისი ეკონომიური მდგომარეობა**, კლარა ცეტკინისა, თარგმანი სან-დონისა. „მოგზაურის" გამოცემა, წიგნი 42 გვერდს შეიცავს და ღირს სულ 10 კაპ.

◆ გუშინწინ დამთავრდა **საბოლოვო ეგზამენები ტფ. კერძო სათ. აზნ. გიმნაზიაში.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის წარმომადგენელნიც დაესწრნენ. სწავლა სულ 9 კაცმა გაათავა: გ. რუსიშვილმა-ყორჩიბაშვილმა, ზ. ფარეშიშვილმა, ა. ბეშკენაძემ, ე. ვალავანდიშვილმა, გ. ბარათაშვილმა, კ. ხუციშვილმა, გ. კეკელიამ, ა. კეკელიამ, ა. ციციშვილმა და ი. ჯავახიშვილმა.

◆ იმის გამო, რომ 27 სექტემბერს კაზაკებმა მიხაილოვის პროსპექტზე, შეურაცხყოფა მიაყენეს მეორე გიმნაზიის მოწაფეთ, 29 სექტემბერს, პირველ გაკვეთილის შემდეგ. ტფილისის მიწის მზომელთა **სასწავლებლის სამივე კლასის მოწაფენი შეიკრიბნენ** და ორშაბათამდე მეცადინეობის შეწყვეტით გიმნაზიელებს თანაგრძნობა გამოუცხადეს. ამასთანავე მოითხოვეს პიროვნების ხელშეუხებლობა.

◆ 28 სექტემბერს, ტფ. სასამართლო პალატამ, წოდების წარმომადგენელთა თანდასწრებით, განიხილა საქმე ვიქტორ ყიფიანისა და სხვებს, რომელთაც **მუშათა კლასობრივ ინტერესების დაცვისა და ახლანდელ სახელმწიფო წესწყობილების დამხობის** პროპაგანდა ბრალდებოდათ. ყიფიანს ამ ჟამად „პატრიოტულ პარტიის" წევრის კ. ზინჩენკოს მოკვლა ბრალდებოდა. პალატამ ყველა ბრალდებული პოლიტიკურ დანაშაულობის ჩადენაში გაამართლა, ხოლო ყიფიანს ზინჩენკოს მოკვლის თაობაზე ორი წლით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვეტია.

◆ როგორც „არშალუის" ს ყარაჯალიდან ატყობინებენ, ბანბაკელი თათრები ოცდა ათი ურმით ერევნისკენ მიდიოდნენ ხორბლის სასყიდლად. ხმა დადიოდა რომ ეს თათრები ნადავლის მოსატანად მიდიანო. მეურმეები აბარანის მხარეზე გავლის დროს **სადღაც უკვალოდ დაკარგულან.** ამბობენ, აბარანელებს დაუხოცნიათ და ურმები ხარებიანად დაუმალნიათო.

◆ ბათომის დრ. გენერალ-გუბერნატორმა გენ. ფონ-პარკაუმ ვლადიმერ გოთუას რომელსაც სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გარდაუწყვეტა, სიკვდილით დასჯა **უვადოდ კატორღაში გაგზავნით** შეუცვალა.

◆ 26 სექტემბერს, ღამე, კავკავის რკინის გზაზე, სადგურებ კისლიაკოვასა და კუსჩევკას შუა ვიღაც ბოროტ გამზრახველებმა **რელსები აჰყარეს** და ბაქოში მიმავალი საფოსტო მატარებელი რელსებიდან გადააგდეს. მატარებლები, მთლად დაიმტვრა. ოფიციალურ ცნობებით მოკლულია 75 მგზავრი. მძიმედ დაჭრილია — 36 და მსუბუქად — 50 კაცი. მატარებლების მიმოსვლა შესწყდა.

◆ ამას წინად ბაქოში მირზაბეკიანცის თამბაქოს ფაბრიკაში სრულიად უმიზეზოდ **დაითხოვეს 50 მუშა მაჰმადიანი.** პოლიციის მეკითხვაზე მუშა სომხებმა განაცხადეს, ჩვენ წინააღმდეგნი არა ვართ, თუ დათხოვნილი მუშები უკანვე დაბრუნდებიანო. მაგრამ, როდესაც მაჰმადიანი მუშები მივიდნენ, სომხებმა მუშაობას თავი გაანებეს და ფაბრიკა დაკეტეს. გამომძიებამ აღმოაჩინა, რომ ეს **ფაბრიკის გამგე ინჟენერ ადამოვის** ბრალი ყოფილა, რომელიც მაჰმადიანების მაგივრად სომეხ მუშებს აქეზებდა. ადამოვი დაატუსაღეს თურმე.

◆ სოფელ მეტეხში ამ დღეებში ერთი უბედური შემთხვევა მოხდა: სერგო ღარიბაშვილმა, გორის სასულიერო სასწავლებლის მოწაფემ, გატენილი თოფი უცაბედად გაისროლა და მოკლა ერთი გოგო, რომელიც ვასილ იაშვილთან მოსამსახურედ იყო.

◆ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთ ალ. **ბზიკალაშვილსა** და ალ. მელქაძეს, რომელთაც ყაჩაღობისათვის ქუთაისის სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, კავკასიის ნამესტნიკმა ჩამოხრჩობა თხუთმეტი წლით კატორღაში გაგზავნით შეუცვალა.

◆ „კავკაზ"-ში დაბეჭდილია **გენერალ გუბერნატორის განცხადება,** რომლითაც სხვათა შორის ველოსიპედისტებს მზის ჩასვლის შემდეგ, ქუჩებში სიარული ეკრძალებათ, დამნაშავეს წაართმევენ ველოსიპედს და პასუხისგებაში მისცემენ. ამას გარდა ველოსიპედს საყვირის მაგივრად ზარები უნდა ჰქონდეს.

◆ გაზეთი „ყაზბეგი" გადმოგვცემს, რომ კავკავში ჟანდარმის ერთ უნტერ-აფიცერს შეუპყრია ტიტულიარნი სოვეტნიკი ს. მ. და ყარსის მცხოვრები ა. ს. რომელთაც **სამ ყუთში უპოვნეს 29 ახალი სისტემისა და 30 ბერდანის თოფი და 3,000 პატრონა.** იმავე დღეს პოლიციას დაუტუსაღებია ქ. ნუხის მცხოვრებნი ს. ღ. და მ. ს., რომელთაც 2340 **პატრონა** აღმოჩენიათ.

◆ ბაქოს გენერალ-გუბერნატორი იუწყება, რომ ბაქოში ამ ჟამად **მაჰმადიანებსა და სომხებს შორის სრული მშვიდობიანობააო.**

◆ ქალაქის გამგეობის წევრი ი. პ. კოჩაევი ტფილისის დროებით **გენერალ-გუბერნატორთან იყო თანხმად მისი მიწვევისა.** გენერალ-გუბერნატორმა გადასცა კოჩაევს: სასურველია, ხმოსანნი თავიანთ თანამდებობას დაუბრუნდნენო.

◆ როგორც გაგრიდან დეპეშით გვატყობინებენ, იქ ვიღაც უცნობ კაცებს **ტყეში მოუკლავთ** საუფლისწულო მამულების გამგე თავ. შახოვსკოი და ადგილობრივ სასტუმროს პატრონი ბონდარენკო.

◆ გუშინ, 29 სექტემბერს, კავკასიის ნამესტნიკის სახლში **დაიწყო კრება ტფილისის გუბერნიის მუსულმანთა ყაზიებისა.** კრება მუსულმანთა სასულიერო და სამოქალაქო საქმეების გამგეობის შესახებაა შემდგარი.

◆ გუშინ, 29 სექტემბერს, მე-10-ე საპოლიციო **უბანში მოჰკლეს ი. ივანოვი,** რომელიც „პატრიოტიულ" საზოგადოების პარტიას ეკუთვნოდა.

◆ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის მედვედიევის თავმჯდომარეობით ამ ჟამად **ირჩევა საკითხი ჩრდილო კავკასიის მთიელთა მიწის მფლობელობის მოწყობის შესახებ.** კრებაზე გამოწვეულნი არიან თერგის და სტავროპოლის ოლქების ტყის გამგენი და უფროსნი კავკასიის მიწად-მოქმედების გამგეობისა.

◆ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალის **„ნაკადულის"** მე-XI ნომერი (მოზრდილთათვის) და მე-XXI ნომერი (მცირე წლოვანთათვის); შინაარსი პირველისა: სალი კლდე (ლექსი) დ. თომაშვილისა; ბეს ფეხი—თ. რაზიკაშვილისა. დაკარგული ბავშვი (თარგმანი) ნ. ბ—ძესი; ჯუზეპე გარიბალდი, იტალიის გამანთავისუფლებელი (თარგმანი) ვასო დამბაშიძისა; მეფე გიორგი მეორე—დ. კარიჭაშვილისა; ნარევი, სასაცილო სამუშაო და გასართობი; დამატება ზოოლოგია (თარგმანი) ბ. სურგულაძისა. **შინაარსი მეორისა:** გოგიას ჩივილი (ლექსი) გ. გელოვანისა, ლექსის საშველი—ვაჟა-ფშაველასი, დამწყვდეული მერცხალი (თარგმანი), ძაღლის სიცრუე (თარგმანი) ტასო ყიფიანისა, გულადი კურდღელი (თარგმანი) დ. დეკანოზიშვილისა, სასაცილო სამუშაო და გასართობი.

◆ გუშინ, 28 სექტემბერს, დაასაფლავეს ყუმბარებით დახოცილი კაზაკები.

◆ სინოდალურმა კანტორამ დაადგინა: მსგავსად ყაზანის ეპარქიის სამღვდელოთა დადგენილებისა, კავკასიაშიც ბლაღოჩინებს თვით მღვდლები აირჩევდნენ.

◆ როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ, ღვთის-მეტყველების დოქტორმა ა. ა. სოკოლოვმა ადგილობრივ სასულიერო აკადემიაში დაიწყო ლექციების კითხვა საქართველოს საეკლესიო ისტორიისა.

◆ სოხუმის ეპარქიაში, ამ დღეებში, დრანდის მონასტერს თავსდასხმიან ვიღაც შეიარაღებული კაცები და გაუძარცვავთ.

◆ საქართველოს ეგზარხოსმა „სასულიერო მოამბის" დროებით რედაქტორად დანიშნა მღ. ნ. ზოგროვსკი, ხოლო ცენზორად რექტორი სემინარიისა არქ. გრიგოლი.

◆ კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებით სამხედრო სახალხო გამგეობის მეორე ნაწილის უფროსი გ. გ. როშჩუპკინი დაინიშნა ბაქოს გენერალ გუბერნატორის ფადლევის საქმეების მთავარ გამგედ.

◆ **საჯავახო.** 28 სექტემბერს, 5 შეიარაღებული კაცი თავს დაეცა ადგილობრივ სადგურის და კანტორის გამგე აგიაშვილს და ფული მოსთხოვეს. აგიაშვილს ფული არ აღმოუჩნდა და ყაჩაღებს მისთვის არა დაუშავებიათ რა.

◆ **სანაინი.** 28 სექტემბერს 4 შეიარაღებული თავს დაესხნენ რკინის გზის დარაჯს ეგ. ზოლოსოვს და წაართვეს სახელმწიფო იარაღი.

—

შეცდომის გასწორება „სამედიატორო სასამართლოს ოქმში", რომელიც „ივერიის" გუშინდელ ნომერშია მოთავსებული, დაბეჭდილია: გედევანიშვილი „თხოულობს, რომ ფირცხალავასაც ჩვენება რუსულ ენაზე ჩამოერთვას, მით უმეტეს რომ სასამართლოს წევრნი მცოდნე არიან ორივე ენისა, თორემ სასამართლოს გადაწყვეტილებას არ დაემორჩილებიო". უნდა იყოს: "თხოულობს, რომ ფირცხალავასაც ჩვენება რუსულ ენაზე ჩამოერთვას, წინააღმდეგ შემთხვევაში ბ-ნი გედევანიშვილი უარს აცხადებს თვით სასამართლოზე, თუნდაც რომ სამედიატორო სასამართლომ, რადგან მედიატორებმა საკმარისად იციან ორივე ენა და შეუძლიანთ მოუსმინონ როგორადაც რუსულად მოლაპარაკე მხარეს, აგრეთვე ქართულად მოლაპარაკესაც, სცნას თავისთვის შესაძლებლად შეუდგეს საქმის არსებითად განხილვაში".

მართალია, მაგრამ ვინ დაიჯერებს!

ვინ დაიჯერებს, რომ ყველაზედ უფრო შემოსავლიანი რკინის გზა ინგლისში კი არ არის, არც საფრანგეთში, არც ბელგიაში, არც გერმანიაში, არც ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც შეგროვილია აურებელი სიმდიდრე, სადაც აღებ-მიცემობა—ვაჭრობასა და მრეწველობაში წლიწადში ათას მილიონობით ანგარიშობენ და სადაც რკინის გზით ეზიდებიან სხვათა შორის მრავალნაირ მადნეულობასა. ყველაზედ უფრო შემოსავლიანი რკინის გზა მთელ დედამიწის ზურგზე იმყოფება ჩვენ გაყვლეფილ და გაძარცვულ მხარეში, შორაპნის მაზრაში,—ეს გახლავს ჭიათურის პაწია რკინის გზა სიგძით 38 ვერსი.

ამ პაწია რკინის გზის გაკეთება ხაზინას დაუჯდა ერთ მილიონ მანათამდე.—დიდის შიშით შეუდგნენ ამ გზის გაკეთებას. ზარალის ეშინოდათ. ვაი, თუ ამ პატარა გზას შემოსავალმა ვერ დაფაროს ყოველ წლიური ხარჯიო, და რომ გაებედნებინათ და გაებედებინათ ამ მითომდა გმირულ და ძნელ გასაბედავი საქმის შესრულება—ერთი მილიონის დახარჯვა—ამ პაწია 38 ვერსიან ვიწრო ლიანდაგიან გზის გასაკეთებლად, ადგილობრივმა მიწის მეპატრონეებმა სულ მუქთად, უსასყიდლოდ დაუთმეს ხაზინას თავიანთი მიწები, რაც კი საჭირო იყო ამ გზის გამოსაყვანად. მაგრამ მთავრობა ამას არ დასჯერდა—დააწესა ტარიფი ჭიათურიდან შორაპნამდე, თითო ფუთზე ათი კაპეიკი,—ესე იგი ერთი ოცად და ოც-და-ხუთად უფრო მეტი ვიდრე დაწესებული იყო სახელმწიფო სხვა რკინის გზებზე.

ვინ დაიჯერებს, რომ ასეთი შიშით აშენებულმა რკინის გზამ თავისვე შემოსავლით პირველ წელიწად ნახევარში დააბრუნა თავისი აშენების ხარჯი,—ისე რომ ხაზინამ პირველ წელიწად ნახევარში უკანვე დაიბრუნა სრულად რაც კი დახარჯა ამ პაწია ჭიათურის გზის გასაკეთებლად.

მერე რა მოხდა?—ამ პაწია გზის გამგებლებმა და ხალხის ოპეკუნებმა იქნება ინებეს და უფულოდ დათმობილ მიწების მეპატრონეებს დაურიგეს იმ მიწების ფასი, და ან იქნება, ამ პაწია გზაზედ დააწესეს ისეთივე ტარიფი, როგორც იყო დაწესებული სხვა რკინის გზებზედ მთელ რუსის სახელმწიფოში?

არა! ერთი ოცად უფრო მეტის გადახდევინება ამ ჭიათურის გზით მარგანეცის და თუ სხვა რამის გადასატანად ჭიათურიდან შორაპნამდი თურმე ერთობ სასიამოვნოდ დაურჩა „ხალხის კეთილდღეობაზე მზრუნველ" სამინისტროებს.

სხვაგან იყო მთელს იმპერიაში რკინის გზებზე ტარიფი თითქმის ვერსტზედ ერთი კაპეიკი, და ჭიათურის პაწია რკინის გზაზედ ოცდათვრამეტ ვერსტზედ, ნაცვლად ნახევარ კაპეიკისა,—ორი შაური!

ხალხი მუშაობდა მარგანეცის გამოსატანათ ბნელ და ნოტიო მაღაროებში, გაწირვებულნი დღიურ ლუკმა პურის საშოვნელად ეზიდებოდნენ თავიანთ ურმით, თავიანთი ცხენით, თავიანთი ზურგით ამ მარგანეცის მაღაროებიდან რკინის გზამდე... ათასობით მუშა კაცი თავს ავლავდა ამ მძიმე სამუშაოს, და ამოდენა მშრომელ ხალხს ეძლეოდა კაპეიკები, რომ იმათ არ დახოცილიყვნენ, სამუშაო დღიური ლუკმა რგებოდათ, და იმავე დროს ეს პაწია ჭიათურის რკინის გზა უგზავნიდა პეტერბურგში ამ ხალხის ოპეკუნებს ფულს მილიონობით!

ერთი ოცად ახდევინებდნენ, ამას ვინ დაიჯერებს.

გზა გააკეთეს—ერთი მილიონი მანათი დახარჯეს, და ამ დახარჯ ფულის უკან დაბრუნებას, უკანვე მიღებას აღარ ჯერდებიან, ჩვეულებრივ მოგებას არ ჯერდებიან, ეს არა კმარათ, არც სამ შაურს სარგებელს სჯერდებიან, არც ასს, არც ათ შაურს—მანათში მანათი სარგებელით! მანათში ორი მანათი სარგებელი!!... ერთი მილიონი დავახარჯავ, ვთხოულობთ წლიწადში ორ მილიონ მოგებასო! ვინ დაიჯერებს ამას?—ნუ დაიჯერებთ, თუმცა ყოველ ანგარიშმა, რომ ამ პაწია ჭიათურის გზას სამუდამოდ წლიწადში ორი მილიონამდე წმინდა მოგება აქვს ყოველივე ხარჯ-გარეთ!.

მერე სად მიდის, ვინ ძღება ეს ფული? იქნება ხალხის „ოპეკუნები" ახმარებენ მას ისევ იმ მშრომელ ხალხს, სხვადასხვა მათ საჭიროებანის დაკმაყოფილებით? არა, ხალხის მილიონებს პეტერბურგში განაგებენ და ანაწილებენ ისე, როგორც აგონებს მათ მათი კერძო შეხედულება. გაგზავნა პეტერბურგში ამ ათი წლის განმავლობაში ჭიათურამ მოგებული ოც მილიონ მანეთზე მეტი...

ნეტავ ხალხის რომელი გაყვლეფა შეედრება ამ გაყვლეფას!.. და ვინ დაიჯერებს, რომ ყველაზედ ნაკლებ ამ გაყვლეფაზეა ჩივილი და პროტესტი, რომ ხალხი ვერ იგებს, სად მიდის მისი ნაოფლარი და ნაშრომი.

ჭიათურის პაწია რკინის გზა გაკეთდა ადგილობრივ მცხოვრებთა სასიკეთოდ, თუ გაკეთდა იმ განზრახვით, რომ ყოველ წლიწადს შორაპნის მაზრაში ამოდენა მშრომელ ხალხს რგებოდათ მარტო დღიური საზრდო, და ამათი შრომით შეგროვილი მილიონები გაგზავნილიყო პეტერბურგში... ცენტრალიზმიც ასეთი უნდა! ამ ხუთი-ექვსი წლის წინად რის ვაივაგლახით პეტერბურგში „ინებეს მოწყალება" და ნაცვლად 10 კაპეიკის მარტო მარგანეცის ჭიათურის რკინის გზით გადასატანათ ამიერიდან გადასახდევინებელი 7 კაპეიკი ფუთზედ.—ეს „მოწყალება" მდგომარეობდა იმაში, რომ ნაცვლად ნორმალურ ტარიფისა ე. ი. $^1/_2$ კაპეიკისა აქამდი ახდევინებდით 10 კაპეიკს ე. ი. ერთი ოცად უფრო მეტს, და ამიერი-

---

ბის თანახმად წინსვლის პაროლი მოგვეცეს, მანამ წინსვლის, გზას მანამ ფართო მასსას არ დავიპყრობთ და მოპირდაპირის ძალებს არ შევავიწროვებთ (ხმამაღალი თანხმობა); მე მგონია, რომ პროფესიონალური კავშირებიც ამ მოსაზრების თანახმად უნდა მოქმედებდნენ (მართალია)". ამას გარდა, ფიშერის აზრით, თვითონ პროფესიონალურ კავშირთა ფართო განვითარებამ წამოაყენა დიდი გაფიცვების საჭიროება და მოპირდაპირეთა ძალებიც შეასუსტა. ამიტომ პირველი მაისის უქმობა რაც შეიძლება უფრო და უფრო დემონსტრატიულ ხასიათს უნდა იღებდეს და არა სუსტდებოდეს. თუ პროლეტარიატი ეხლა, როდესაც მგონი საგრძნობი ბიჯი გადავდგით წინ, თუ ეხლა შეასუსტებს ბრძოლას, განა ეს ბურჟუაზიის თვალში მუშათა კლასის დაუძლურების ნიშანი არ იქნება, და განა, ამიტომ, ბურჟუაზია არ ეცდება ერთხელ კიდევ გაილაშქროს მუშათა კლასის წინააღმდეგ, რომ საბოლოოდ დაამარცხოს იგი და უსაზღვრო ექსპლოატაცია განაახლოს. ამას გარდა პირველ მაისობა სოციალ-დემოკრატიული მსოფლიოთ-მხედველობის ერთ-ერთი განუყოფელი ელემენტია, რომელიც პროფესიონალურ კავშირების ზოგიერთა წარმომადგენლებმა უკუაგდეს და რომელიც გვეუბნება, რომ, რაც უნდა განსხვავდებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის სოციალ-დემოკრატიის უახლოესი მიზნება, საბოლოო მიზანი მაინც ერთია: „ბურჟუაზიული საზოგადოების დამსხვრევა, სამუშაო ქირის მოსპობა, საწარმოვო იარაღთა განსაზოგადოება... არას დროს არ ყოფილა 1890 წლიდან დაწყებული პირველი მაისის უქმობა ისე საჭირო, როგორც წელს!"-ო,—ამბობს ფიშერი: „ამიტომ ეხლა მისი უარყოფა, ან შესუსტება ნამდვილი პოლიტიკური თავის-მკვლელობის აქტი იქნება!"-ო. შემდეგ ფიშერი ხსნის, რატომ იჩინა თავი პარტიასა და ზოგიერთ პროფესიონალურ კავშირთა მომხრეებს შორის ასეთმა უთანხმოებამ! სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, როგორც პარტიამ, ძლიერ ფართო სახე მიიღო, მისი პარტიული საქმეები ისე გაიზარდა, რომ ყოველი გულწრფელი წევრი ამ პარტიისა მთელ თავის სულიერ და ფიზიკურ ენერგიას მათ ასრულებას ანდომებს, მას უკვე აღარ სცალიან მუშათა ვიწრო, ყოველდღიურ ინტერესებისათვის; აქედან ჩნდება ერთგვარი უარყოფითი დამოკიდებულება წვრილ, ყოველდღიურ ინტერესებისადმი. მეორე მხრით ამ ვიწრო ინტერესებსაცა ჰყავთ თავის წარმომადგენელნი და დამცველნი, და ეს უკანასკნელნიც ისე არიან მთელი თავისი სულით და გულით თავის საქმეებში გართულნი, რომ ბოლოს ისინიც აუცილებლათ ისეთივე თვალებით უწყებენ ცქერას ფართო, პოლიტიკურ ინტერესებს, როგორც უკანასკნელთა დამცველნი მათ. ამგვარად იბადება წინააღმდეგობა პარტიასა და პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლების შორის. კელნის კონგრესზე სწორეთ ამ წინააღმდეგობამ იჩინა თავი. „თუ პირველ მაისს ისე იუქმებთ, როგორც ეს ინტერნაციონალურ კონგრესზე იყო გადაწყვეტილი, ეს იქნება სწორეთ ის საშუალება, რომელიც ამ ერთი მთიდან ჩამოხეთქილ ორ დიდს კლასთა ბრძოლის საერთო მორევში შეაერთებს!"-ო—დაათავა თავისი მოხსენება ფიშერმა.

სანამ შევეხებოდე მეორე არა ნაკლებ, თუ არ უფრო საინტერესო კითხვას, კითხვას პოლიტიკურ, მასსიურ გაფიცვის შესახებ, საჭიროთ მიმაჩნია გავიხსენო ახალი პარტიის, ანარქო-სოციალისტების, წარმოშობა, რამაც საბოლოოთ დაამტკიცა, რომ ძველი ტაქტიკა გერმანელი სოციალ-დემოკრატიისა აღარ აკმაყოფილებს გერმანიის პროლეტარიატს, რომ იგი ახალს ეძებს და ხშირათ ამ ძებნაში გზა ებნევა და მკლავებში უვარდება ისეთ მსოფლიოთ-მხედველობას, როგორც ანარქიზმია. აქედან სხვათა შორის გამომდინარეობს სოციალ-დემოკრატიისათვის ძველი ტაქტიკის შეცვლის საჭიროება.

ბერლინში 23 აგვისტოს დოქტორ ფრიდებერგმა წაიკითხა რეფერატი, სადაც იგი შეეხო სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკას, და აღნიშნა—რა ერთი მხრით სოციალ-დემოკრატიის კოლოსსალური ზრდა და პარლამენტარიზმის უნაყოფობა, რომელმაც ასე გაიტაცა გერმანიის სოციალ-დემოკრატია, და მეორე მხრით—რომანიულ ქვეყნებში კლასობრივი ბრძოლის და გერმანიაში რეაქციის ზრდა და „პროფესიონალურ კავშირთა ნეიტრალიზაცია", დაასკვნა „რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ, მარქსის დოგმატიური მოძღვრებით დაბნელებულმა, დაკარგა ყოველივე რევოლუციონური ხასიათი, რომ მისი ტაქტიკა უვარგისია და, როგორც ასეთი, უკუგდებულ უნდა იქნას, რომ ამიტომ საჭიროა ახალი პარტიის შედგენა, რომელიც საუკეთესო რევოლუციონურ ტაქტიკათ გენერალურ გაფიცვას სთვლის და რომელსაც ამიტომ ანარქო-სოციალისტური პარტია დაერქმევა. 3000 მუშა ჩამოშორდა სოციალ-დემოკრატიას და თავის თავი ანარქო-სოციალისტათ აღიარა. ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ ევროპაზე და განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატებზე; ამ ამბავმა სხვათა შორის, როგორც ზევით ვსთქვით, ახალი კითხვა დაუყენა იენის პარტეიტაგს, კითხვა ტაქტიკის გამოცვლის შესახებ. მოხსენება წაიკითხა ბებელმა. ის ამბობდა, რომ 1903 წელმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბურჟუაზიულ სფერებშიო; სოციალ-დემოკრატიის სამი მილიონი ხმა მოსვენებას არ აძლევენ ბურჟუაზიასო. ცენტრის მეთაურმა ტრიმბორნმა კელნში ერთ დიდ კრებაზე შემდეგი სიტყვებით მიმართა იქ დამსწრეთ: „აბა იფიქრეთ! სამი მილიონი ხმა აქვს სოციალ-დემოკრატიას! რა აუარებელი რიცხვია! როგორ უნდა მოუღოთ ასეთ მოვლენას ბოლო, თუ ასე გაგრძელდა"? ასეთი გავლენა იქონია 1903 წელმა ბურჟუაზიულ წრეებში, თვითონ პარტიაში კი მან ახალი კითხვები წამოაყენა, დრეზდენის პარტეიტაგმა ტაქტიკის გამოცვლის საჭიროება აღიარა. ბურჟუაზიული პარტიები შეერთდნენ და ხელიხელს ჩაკიდებულნი ებრძვიან სოციალ-დემოკრატიას. ნაციონ.-ლიბერალი კონსერვატორს უერთდება, ოღონდ სოციალ-დემოკრატიამ ერთი ადგილი კიდევ არ მოიპოვოს რეიხსტაგში, — „მე ნაციონალ-ლიბერალი ვარ, მაგრამ ხმას ვაძლევ კონსერვატორებთან ერთად"! სთქვა ერთ-ერთ კრებაზე უკანასკნელ არჩევნების დროს ერთმა საქსონიის მრეწველმა. 1903 წლიდან დაწყებული ფაბრიკანტთა კავშირების რიცხვი ერთი-ორად იმატებს: „ერთ წარმოების დარგს ვერ ნახავთ, რომ რომელიმე ფაბრიკანტი კავშირის წევრად არ ითვლებოდეს, მაშინ როდესაც ათასობით ითვლება ის მუშები, რომლებიც ყოველგვარ კავშირთა გარეშეა"! აშკარაა, რომ კლასობრივი ხასიათი, კლასობრივი ინტერესები ბურჟუაზიამ უფრო შეიგნო, ვიდრე პროლეტარიატმა. ეხლა ბურჟუაზია უფრო მეტის ხალისით ებრძვის მუშებს, ვიდრე სხვა დროს ოდესმე. მაგრამ 1895 წლიდან დაწყებული გერმანიის მრეწველობა სწრაფად ვითარდება, ამას მოსდევს აუცილებელი სოციალ-დემოკრატიის ძალების ზრდა; ამ მხრივ კაპიტალისტებთან შედარებით ჩვენ უკეთეს მდგომარეობაში ვართ, — რაც უფრო ვითარდება ინდუსტრია, მით უფრო ვძლიერდებით ჩვენ. მაგრამ მარტო ეკონომიურ ცხოვრებაში კი არ მწვავდება კლასთა დამოკიდებულებანი, იგივე ხდება პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. ბურჟუაზია ლაპარაკობს: „ჩვენ კოლოსსალურ ქონების პატრონები ვართ, ჩვენ ვიხდით გადასახადებს, მაშასადამე, სახელმწიფოს წარმომადგენლებიც ჩვენ უნდა ვიყოთო"! და მართლაც მთელი თანამედროვე სახელმწიფო რას წარმოადგენს, თუ არ „კომიტეტს, რომელიც განაგებს საქმეებს ბურჟუაზიის ინტერესებთან შეთანხმებით"! ამის შემდეგ რა გასაკვირველია, რომ ბურჟუაზია მტრულად უყურებდეს საყოველთაო ამოსარჩევ უფლებას. ლიბერალურმა პარტიამ მრავალჯერ დაგვიმტკიცა, რომ იგი ამ უფლების შეურიგებელი მტერია. ცენტრი? „ცენტრს მხოლოდ ერთი პრინციპი აქვს,—გამაგრება ეკლესიის ძლიერებისა,—და მუდამ ამ პრინციპის თანახმად მოქმედებს: ბადენში და ბავარიაში ცენტრი საყოველთაო ამომრჩეველ უფლების მიმდევარი იყო. რატომ? მიტომ რომ ასეთი ამომრჩეველი უფლება აქ მას გააძლიერებდა; პრუსსიაში კი 1875 წლიდან დაწყებული მას კრინტიც არ დაუძრავს საყოველთაო ამომრჩეველ უფლების შემოღების სასარგებლოთ; ერთი სიტყვით, ცენტრი მუდამ თავის სარგებლობის თანახმად მოქმედებს. აი, რას სწერდა ერთი გაზეთი ამ წლის აპრილის ერთ ერთ ნომერში: „რასაკვირველია ის სახელმწიფო, სადაც სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლების გამრავლება პოლიტიკურ ბორბალს სრულ შეჩერებას უქადის, რასაკვირველია ეს სახელმწიფო წინააღმდეგ ზომებს მიიღებს"! აი, ცენტრის პროგრამა. როგორც ვხედავთ, არა მარტო ლიბერალური პარტია, ცენტრიც მზათაა გამოვიდეს საყოველთაო ამომრჩეველ უფლების წინააღმდეგ. ამგვარ სიტუაციაში სოციალ-დემოკრატია რასაკვირველია უნდა ცდილობდეს თავის ბრძოლის ტაქტიკა გააუმჯობესოს, თავის მიმდევართ ბრძოლის წყურვილი გაუღვიძოს, ერთი სიტყვით, ბრძოლისთვის მუდამ მზათ იყოს, რომ მტერს ღირსეულათ დაუხვდეს. „ამ დროს გამოდიან ანარქო-სოციალისტები და უმტკიცებენ მუშახალს, რომ „საჭირო არ არის საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ საარჩევნო უფლებისთვის ცრემლები დავღვაროთო; 99 მეასედი ყველა იმ საქმეებისა, რაც პარლამენტში ირჩევა, ჩვენ სრულებით არ გვეხებაო"! მაგრამ განა არ იციან ანარქო-სოციალისტებმა, რომ საარჩევნო უფლების დაკარგვას თან მოჰყვება სიტყვის, ბეჭდვის, სინდისის, კრების, კავშირის თავისუფლების დაკარგვაც! განა არ იციან ანარქო სოციალისტებმა, რომ 99 მეასედი იმ საქმეებისა, რომლებიც პარლამენტში ირჩევა, ჩვენ ინტერესებზე მჭიდროდ არის შეკავშირებული! პოლიტიკურ ბრძოლის საჭიროება უკუაგდო ფრიდებერგმა და გენერალურ გაფიცვის საჭიროების მტკიცება დაიწყო. გენერალურ გაფიცვის კითხვა ჩვენთვის არ ახალია—ძველია... „მაგრამ ამაზე ბერლინში მოვილაპარაკებთო"!—მიუბრუნდა ბებელი ფრიდებერგს. თავისი გრძელი მოხსენება მისი რეზოლუციის მიღების თხოვნით დაამთავრა. რეზოლუცია პოლიტიკურ მასსიურ გაფიცვის შესახებ მიღებულ იქმნა.

ბურჟუაზიული პრესსა დარწმუნებული იყო, რომ ეხლანდელი პარტეიტაგი რამოდენიმე ნაწილად გაჰხლეჩავს სოციალ-დემოკრატიას, მაგრამ, როგორც ვხედავთ, მისი მოლოდინი უსაფუძვლო გამოდგა, და გერმანელმა სოციალ-დემოკრატიამ შესძლო ახალ საპრობლემო კითხვების გადაწყვეტა და თავისი ერთობის შენახვა.

ლეიპციგი. დ. უ.

დან გადავახდევინოთ მხოლოდ 7 კაპეიკი, ე. ი. ერთი თოთხმეტად. . ესეც იმ იმედით, რომ ჭიათურიდან პეტერბურგში გასაგზავნ ბეგარას ორ მილიონ მანეთს არ მოაკლდესო... და მართლაც არა თუ არა დააკლდა რა იმ მილიონებს, რომელსაც ჭიათურიდან პეტერბურგში იგზავნება, არამედ კიდევ უფრო მოემატა...

ვინ დაიჯერებს, რომ ამჟამად, როდესაც ჩვენის ცხოვრების სნეულებამ შეარყია მთელი ჩვენი ხალხის ახლანდელი ცხოვრება, აამოძრავა და აალაპარაკა მთელი ხალხი,—სპიჩვის (წუმწუმის) ბანდეროლის აქციზის გადასახადზედაც კი, რომელიც სულ თითო-ოროლა შაურით თუ გადახდება თვითეულს, ამ საშინელ და ხალხის გამაღარიბებელ უსამართლობაზე, ჭიათურის გზის საქმეებზედ, ხმასაც არავინ იღებს.

მარგანეცის მრეწველთა კრებაა... თვრამეტი საქმეა დანიშნული ამ კრების გადასაწყვეტად,—და ხსენებაც არ არის ამ უსამართლობის თაობაზედ...

შავიქვის მრეწველთა კრებაზე დამსწრე საზოგადოებამ თუ ისურვა მკვიდრი საძირკველი ჩაუგდოს შავიქვის საქმეს, უნდა ეცადოს, რომ მოისპოს უზომო ტარიფის წყალობით ხალხის ნაშრომის მილიონობით პეტერბურგში გაგზავნა. კმარა, რაც იგზავნებოდა უცხოთათვის ეს მილიონები, აწი საჭიროა იგი მოხმარდეს ადგილობრივ მცხოვრებლებს, თორემ არსებულ წესის შერჩენა უღრის ჩვენი ქვეყნის გაუვლეფას იმათგან, ვიზედაც იხარჯება აქედან წაღებული ფული.

პაპუნა.

რუსეთი

22 სექტემბერს პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ გაარჩია **საქმე რამდენისამე სოციალ-რევოლუციონერისა**—კურსისტკასი, სტუდენტისა და მატროსისა, რომელთაც მატროსებში მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდის გაწევა ბრალდებათ. ზოგ მათგანს სასამართლომ 3 თვიდან 1 წლამდის საპყრობილეში დამწყვდევა გადაუწყვიტა, ზოგი კი გაამართლა (ს. ო.).

◆ სამსახურიდან გასულს, საზღვაო სამინისტროს მმართველად ნამყოფს, ადმირალ აველანს მთავრობამ 10,000 მანათი **აჩუქა**... ავეჯის სასყიდლად (ს. ო.).

◆ ვარშავის უნივერსიტეტის საბჭომ გადასწყვიტა, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ ვარშავის უნივერსიტეტში **პოლონეთის ისტორიისა და პოლონეთის კანონმდებლობის კათედრა** დააარსოს. ეს კათედრები სტუდენტებისთვის სავალდებულო არ იქნება (რ. ს.).

◆ როგორც ვიცით, მოსკოვის საერობო და საქალაქო მოღვაწეთა კრებაზე ახლად შემდგარმა დემოკრატიულმა პარტიამ რუსეთის განაპირა ადგილებისთვის **ავტონომია მოითხოვა**. ამ კრებაზე ავტონომისტებს წინ აღუდგა მხოლოდ მოსკოვის ქალაქის ხმოსანი—რადიკალი გუჩკოვი, რომელიც რუსეთის დეცენტრალიზაციის წინააღმდეგი იყო. მეორე დღიდანვე რადიკალ გუჩკოვს რუსეთის ყოველ კუთხიდან რუსი „პატრიოტები" გრინგმუტისა და სუვორინის მეთაურობით ზედიზედ მადლობას უთვლიდნენ. საბჭოში ერთ-ვაჭარ ხმოსანს გუჩკოვის წინაშე დაუჩოქნია და ისე გადაუხდია მადლობა. ამბობენ, მოსკოვის ვაჭრები და მოქალაქენი (МѢЩАНЕ) პროტესტის გამოცხადებას უპირობენ საერობო პარტიას ავტონომიის აღიარების გამო (ნ. ვ.).

◆ ხაზინამ კიდევ დაბეჭდა 10 მილიონ მანათის **ქაღალდის ფული**. ამჟამად მთელ რუსეთში 1150 მილიონ მანათის ქაღალდის ფული ტრიალებს (რ. ვ.).

◆ ბალაშოვისა და სერგაჩის მაზრაში რამდენიმე ათასი გლეხია **გაროზგილი**, რომელთაც ზოგი უფლებები წართმეული აქვთ. მთავრობის აზრით, 1489 გაროზგილი გლეხი **„გასწორდა"** და ამიტომ მათ წართმეული უფლება უნდა დაუბრუნოს (რ. ვ.).

◆ შუა რუსეთის ზოგიერთ გუბერნიებში ადმინისტრაციას **ფული გაუფლანგავს**. ეს ფული ომში წასულ მეომართა ოჯახებისთვის იყო გადადებული (რ. ვ.).

◆ საზოგადოდ ფინლანდიაში და კერძოდ ჰელსინგფორსში აუარებელი **ჯარი** მიდის შუა რუსეთიდან. დღეს თუ ხვალ, როგორც ამბობენ, მთელ ფინლანდიაში საომარ წესებს შემოიღებენ (რ. ვ.).

◆ ეხლახან გელსინგფორსში 6 **მოწამლულ ტყვიით** მოკლეს პოლიციელი (რ. ვ.).

◆ ვარშავის სამხედრო სასამართლომ **ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა** ორიმას, რომელსაც კაზაკის მოკვლა ბრალდებოდა (რ. ვ.).

◆ რუმინიაში მისულა ჯავშნიანი «პოტიომკინ»-ის მღვდელი, რომელსაც **მინდობილი აქვს** მატროსები დაიყოლიოს და რუსეთში დააბრუნოს (ს. ო.).

◆ ბოგოსლოვის სამთო ქარხნები უცხოელ კაპიტალისტების ხელში გადადის. ეს ქარხნები აუარებელი ფული დაჯდა. ამ ცოტა ხნის წინად **ხაზინამაც დახმარება აღმოუჩინა ქარხნების პატრონს** და 12 მილიონი მანათით შეეწია. გარდა ამისა, ხაზინამ რკინის გზის გასაყვანად საჭირო ხე-ტყე და ადგილი უფასოდ დაუთმო ქარხნის პატრონს, მაგრამ... ბოლოს ყველაფერი უცხოელებს ჩაუვარდათ ხელში (ს. ო.).

◆ 20 და 21 სექტემბერს კოსტრომაში **პარტიული კრება** ჰქონდათ ჩრდილო რუსეთის საერობო და საქალაქო მოღვაწეთ. კრებამ პროგრამა ვერ განიხილა, რადგან მთავრობამ დაშალა იგი (რ. ს.).

◆ 20 სექტემბერს პეტერბურგის უნივერსიტეტში **პოლონელ სტუდენტთა კრება** მოხდა. კრებას 800 კაცი დაესწრო. გასარჩევი საგნები: 1) პოლიტიკური პარტიები პოლონეთში; 2) პოლიტიკური პარტიები რუსეთში; 3) აკადემიური საკითხი პოლონეთში; 4) აკადემიური საკითხი რუსეთში და 5) ჩვენი სურვილი. კრებამ დიდ ხანს გასტანა და მხოლოდ პირველ საკითხის გარჩევა მოასწრო. დამსწრენი ორ ბანაკად გაიყვნენ: ნაციონალ-დემოკრატები და ნაციონალ-პროგრესისტები. კრებაზე ერთი თუ ორი კლერიკალი და სოციალ-დემოკრატი აღმოჩნდა. ზემოხსენებულ ორ პარტიას გაცხარებული ბრძოლა ჰქონდა. ბოლოს ნაციონალ-დემოკრატებმა გაიყვანეს თავიანთი რეზოლუცია, ლაპარაკი განსაკუთრებით პოლონურ ენაზე იყო. (ს. ო.).

◆ **მოსკოვის ამბები.** 22 სექტემბერს მოსკოვში საერთო გაფიცვა დაიწყო. ყველაზე წინ ასოთამწყობნი გაიფიცნენ. გაფიცულთ რამდენჯერმე შეტაკება მოუხდათ პოლიციასთან და ჟანდარმებთან. მუშებმა ცენტრალური კომიტეტი დაიარსეს გაფიცვის მოსახდენად. საღამოს 6½ საათზე რამდენიმე ათასმა კაცმა დიდი დემონსტრაცია მოახდინა მთავარ ქუჩებზე. ხალხი მარსელიეზას მღერითა და სარევოლუციო სიტყვების ყვირილით „მოსკოვ. ვედ." რედაქციას მიეხალოვდა, ფანჯრები ჩაამტვრია და ამწყობებს მუშაობაზე ხელი ააღებინა (ნ. ვ.).

◆ სახელმწიფო კონტროლიორი გენ. ლობკო **სამსახურს თავს ანებებს** (ს. ო.).

◆ პეტერბურგის ქალაქის საბჭოში ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ **ვიტტე პეტერბურგის საპატიო მოქალაქედ აერჩიათ.** საბჭომ ეს წინადადება უარჰყო, რადგან ხმოსნების სიტყვით ვიტტესაც წილი უდევს რუსეთ-იაპონიის ომის გამოწვევაში (ს. ო.).

◆ 19 სექტემბერს ოდესის სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე კუნინისა, კლიმოვიჩისა, ნირნბერგისა და კლანკისა. ოთხივეს იარაღით პოლიციის წინააღმდეგობა ბრალდებოდა. სასამართლომ კუნინს **ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა**, ნირნბერგი და კლანკი გაამართლა (ს. ო.).

კორესპონდენცია

ს. ხოვლე. 19 ამ თვეს აქ ერთი შესაზარი ამბავი მოხდა. დილის ხუთი საათი იქნებოდა, რომ სოფელში თოფის სროლა ასტყდა. როცა იმ ადგილს მივიდნენ, საიდგანაც სროლა ისმოდა, ორი მკვდარი და ერთიც დაჭრილი სალდათი ნახეს. როგორც სალდათებმა სთქვეს საქმე შემდეგ ნაირად ყოფილა: შვიდი სალდათი სდარაჯობდა თურმე გრიგოლ იოსების ძე ჯავახიშვილის სახლსა. სალდათები თავლაში ყოფილან, როცა უცბად გარედგან გავარდა თოფი და შიგნით ერთი სალდათი მოიკლა, სხვები გამოცვივდნენ ამ თოფის ხმაზე გარედ, სადაც დაინახეს ერთი თავიანთივე ამხანაგი, რომელსაც ჯავახიშვილის დაქალის ტანისამოსი ეცვა. სალდათებმა ვერ იცნეს ის, თუ თავიანთი ამხანაგი იყო, ესროლეს თოფი და იქვე მოკლეს.

ხოლო, როგორც სალდათება იძახიან, ამ გამწარებულმა დასჭრა მესამე სალდათი. მაინც სალდათები რადაც ბუნდოვნად ხსნიან ამ საქმეს და წითელ რაზმელებს აბრალებენ, თუმცა ეს ისე არ უნდა იყოს. გამოძიება სწარმოებს, რის შემდეგაც, ვეცდები, მკითხველებს ვაუწყო.

გ. ნამორაძე.

ს. კარალეთი. წრევანდელი წელიწადი გლეხკაცისთვის მაინც რადაც არა ჩვეულებრივი იყო. თუმცა აქ მოსავალი წელს კარგი მოვიდა მაგრამ გლეხ-კაცს კი იმითი არ უსარგებლნია,—ჯერ უცდიდნენ აქაურ მემამულეებთან მორიგებას და ბინაზე არ მიჰქონდათ, შემდეგ კი დაიწყო წვიმები და ბევრი სულ გაილოდოვა. ღვინის მოსავალიც კარგი არის, ვაზს კარგად ასხია, მაგრამ საუბედუროდ ის არის, რომ ჯერ ყურძენი არ დამწიფებულა და გლეხები კი კაზაკების შიშით ახლავე შეუდგნენ ვენახების კრეფას.

აქა სდგას ოციოდე კაზაკი, რომლებიც, სადაც და რომელი ვენახიც მოეწონებათ, ხეირს არ აყრიან, და გლეხკაცი, რომელიც ისე უფრთხილდება თავისს ვენახს, რომ რთველამდის ერთს კუნწულსაც არ მოაგლეჯს მტევანს, რასაკვირველია გულგრილად ვერ დაუწყებს ცქერას, როგორ სხვები ჰკრებენ იმის ვენახსა, სადაც მას ჩაუმარხავს მთელი თავისი ძალღონე და რომლის შემუშავებაზედაც მას, წელში ოთხად მოხრილს, მწარედ ოფლი უღვრია; გულგრილად ვერ დაუწყებს ცქერას, სხვები როგორ ჰკრებენ იმის ნაწვავ-ნადაგს, მაშინ როდესაც ის თავისა და თვით თავის პატარა შვილებისთვისაც კი არ იმეტებს ერთს მტევანს ყურძენს. მაგრამ ძალა აღმართსა ხნავს.

ნ.

ქ. გორი. 28 აგვისტოს, დევან ციციშვილს მოკვლის შემდეგ, აქაური პოლიცია ძალიან გამოფხიზლდა და სცდილობს თავისი უნარი და ნიჭი სავსებით გამოიჩინოს. ისე დღე არ გავა, რომ რამდენიმე კაცი არ დაიჭირონ და არ დასატუსაღონ.

როგორც ხმებია, ბოქაული ბარძიმ ავალიშვილის მოკვლის გამო ქ. გორს შეაწერეს მოკლულის ოჯახის სასარგებლოდ 6,000 მან.

გ. ნამორაძე.

წერილები რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! „ტ. ლისტოკის" მე 195 ნომერში მოთავსებული იყო წერილი ქალბატონის ვედრებისელისა, სადაც ავტორი, სხვათა შორის, ამბობს, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო ქართულ, კერძო გიმნაზიაში ვითომ მუსიკისათვის იხარჯებოდეს წელიწადში ხუთი ათას ხუთასი მანათი. სიმართლის აღსადგენად ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ ხსენებული გიმნაზია ხარჯავს მუსიკისათვის წელიწადში 5500 მანეთს კი არა, არამედ 2800 მანეთს ამ ჯამში შედის სამუსიკო ნივთების შეძენის ხარჯიც. მე ვგონებ, ქ-ნს ვედრებისელისას რომ გადაეთვალიერებინა გიმნაზიის ანგარიში თუნდ ბოლო წლისა, ადვილად დარწმუნდებოდა თავის შეცდომაში.

ტფილისის სათავად-აზნაურო ქართულ კერძო გიმნაზიის სამუსიკო ნაწილის გამგე.

ზაქ. ფალიაშვილი.

—

ბატონო რედაქტორო! თქვენ პატივცემულ გაზეთ „ივერიის" № 175-ში კორესპონდენცია ცხინვალიდან, რომელშიაც სხვათა შორის არის მოხსენებული, ცხინვალსა და სხვა სოფელშიაც ბ. გუგუშვილი დათარეშობს, იჭერს ბრალიანსა და უბრალოს და უწყალოდ სცემს ქალებსაც კი, თუ როგორ გაბედეთ და ქალებმაც ათის-თავი-ასის-თავები ამოირჩიეთო, და სხვ.

ჭეშმარიტების აღსადგენად, გთხოვთ ამ მოკლე ხანში გამოაცხადოთ, რომ მე დაბა ცხინვალში სრულებიდაც არა ვყოფილვარ და არც დედაკაცებისთვის მიცემნია და არც აგიტატორები და ათის-თავები დამიტუსაღებია, მე მაბარია მხოლოდ ს. კასპიდგან დამოკიდებული ლეხურის და ქსნის ხეობები, სადაც არ ყოფილა არც ერთი მაგალითი, რომ ვინმე დედაკაცებთან რაიმე უბრალო ლაპარაკიც კი მქონოდეს. რაც შეეხება ათის-თავების და აგიტატორების შეპყრობას, მე არამც თუ არავინ მათთაგან არ დამიტუსაღებია, არამედ 26-ს ამა თვეს ჩემის რჩევით ხოფ. ქვემო ჭალაში ოცდა-ხუთამდე კაცმა გავარდნილმა ტყეში სოფ. ლამისყანიდგან და აგრეთვე სხვა სოფლებიდან ათის-თავებმა და წითელ რაზმში მყოფთა შემდეგ ჩემის რჩევის და ქადაგებისა, ხალხის ყრილობაში თოფ-იარაღი დაყარეს და თვით გამოცხადდენ ჩემთან. მე სრულიად ვაპატიე მათ. რაც შეეხება იმ წითელ რაზმში მყოფთ, რომლებიც ძარცვა-გლეჯით და ყაჩაღობით აციებენ ხალხს და აოხრებენ სოფლებს, მე როგორც ყოველთვის მათი მდევნელი და მომსპობი ვყოფილვარ, შემდეგშიაც ვსდევნი, სადაც მოვასწრობ და შევნიშნავ და ბოლოს მოვუღებ *)

ე. დ. გუგუშვილი.

ღამის დეპეშები

29 სექტემბერი.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი. „სლოვო" იუწყება: სახელმწიფო სათათბიროში წევრთა არჩევნები დეკემბრის პირველ რიცხვებში მოხდებაო.

„რუსში" დაბეჭდილია საერობო და საქალაქო მოღვაწეთა ცენტრალურ კომიტეტის წევრთა სია. ამ სიაში ბევრი ჟურნალისტებიცაა დასახელებული.

„ნოვოე ვრემია" იუწყება, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში მალოროსიელმა სტუდენტებმა ყრილობა გამართეს და გარდასწყვიტეს, რომ უკრაინისთვის საჭიროა ავტონომია დემოკრატიულ-ფედერატიულ ნიადაგზე.

„პეტერბურსკია ვედომოსტი"-ს გაუგია, რომ სამხედრო მინისტრს არ შეუწყნარებია საკითხი პოლკებში უფროსების ჯარის-კაცების მიერ არჩევნების შესახებ.

მოსკოვი, 28 სექტ. 23 სექტემბერს „სტრასტნოი" ბულვარზე დემონსტრაციის დროს ქვით დაშავდნენ ჟანდარმის აფიცერი და უნტერ-აფიცერი, ტყვიით—ჟანდარმი. ხალხიდან არავინ დაჭრილა. 24 სექტემბერს „მოსკ. ლისტოკ"-ის რედაქციის მახლობლად დაიჭრა სამი პოლიციელი, ნიკიტის კარებთან ერთი. დრაგუნების ესკადრონს ნიკიტის ბულვარზე ხალხმა ქვა დაუშინა. ერთი დრაგუნი მძიმედ დაშავდა. საღამოზე ამავე ადგილას სროლა ასტყდა. მსუბუქად დაიჭრა ვინმე მახლობიე და მძიმედ ორი კაზაკი. არავინ მომკვდარა. ორი კაცი მჭრელ იარაღით დაიჭრა. 25 სექტემბერს ფილიპოვის საკონდიტეროსთან ქვებით მძიმედ დაშავდნენ კაზაკი, სამი პოლიციელი და უბნის ზედამხედველი, რომელიც შემდეგ გარდაიცვალა. 28 სექტემბერს დუქსის ქარხანასთან მეეტლე დაჭრეს. 26 არეულობა არ ყოფილა.

ტოკიო, 28 სექტემ. კორეაში 4 პროვინციაში აჯანყებამ იჩინა თავი. ამბობენ, რადგან ადგილობრივ მთავრობას არეულობის მოსპობა არ შეუძლიან, იაპონია იკისრებს წესიერების აღდგენასაო.

კიევი. სასულიერო აკადემიის სტუდენტებმა სადღესასწაულო წლიურ აქტზე დასწრება არ მოისურვეს და ავტონომია მოითხოვეს.

ტომსკი. უნივერსიტეტის საბჭო საჭიროდ სთვლის უნივერსიტეტის გახსნას. სტუდენტთა ყრილობამ ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 250 ხმისა, გადასწყვიტა: სწავლა დაიწყონ. 117 სტუდენტს ხმა არ მიეცაა.

დონის-როსტოვი. კავკავის რკინის გზამ რამდენიმე სადგურზე ბარგის მიღება აღკრძალა. აზრადა აქვთ ბარგის მიღება სხვა სადგურებზედაც აღკრძალონ. ბარგის მიმღებნი გზათა მინისტრთან შუამდგომლობის აღძვრას აპირებენ იმის შესახებ, რომ კავკავის გზის მმართველობამ ბარგის მიღება კვლავ განაგრძოს

პეტერბურგი. სახალხო განათლების სამინისტრომ დიდძალი მასალა მოამზადა სახალხო სკოლების მდგომარეობის შესახებ. არსდება განსაკუთრებული კომისია, გრაფ მუსინ-პუშკინის თავმჯდომარეობით, რომელმაც ეს მასალა უნდა დაამუშაოს.

ტიმირიაზევის კომისიამ ნავთის მწარმოებელთა თანდასწრებით გამოარკვია, რომ სესხის გაცემა შეიძლება 5% და გირაოს ქვეშ. ნავთის ამომქაჩავ მთიჯარადრეებს სესხი უფრო შეღავათიანის პირობებით მიეცემათ.

პეტერბურგი, 29 სექტემბერი. აქ მოდის მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორი თავადი ტრუბეცკოი, უნივერსიტეტის მდგომარეობის შესახებ მოსახსენებლად. ფინანსთა მინისტრმა ტფილისში ნამესტნიკს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „ნავთის მწარმოებელთ მიმმართეს თხოვნით, რომ ბალახანის ნავთის ქარხნებთან ჯარის კაცები დგანან 90 ალაგას, ზოგან თითო, ზოგან ორ-ორი, თუმცა 23 სექტემბერს გენერალ-გუბერნატორმა პირობა მისცა 20 ალაგს დააყენებო. ეს გარემოება ჯარების სიმცირით აიხსნება, როგორც ბაქოდან იუწყებიან, ბალახანაში მუშაობა უზრუნველ ყოფილი არაა. მე მოვითხოვე ნავთის მწარმოებლებისაგან, რომ მუშაობას დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ, რაც იმათ აასრულეს, ამიტომ ჩემს თავს მოვალედ ვრაცხ, კიდევ შევაწუხო თქვენი ბრწყინვალება და გთხოვოთ, რომ ნავთის ქარხნებში მუშაობა მალე უზრუნველ ჰყოთ, და დაწყებული მუშაობა აღარ შეაწყვეტინოთ.

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია" იუწყება: 28 სექტემბერს ჰელსინგფორსში სენატმა მიიღო უმაღლესი ბრძანება, რომლითაც ფინლანდიას ახალი ვრცელი შეღავათები ეძლევა შესახებ საქმის წარმოებისა ადგილობრივ ენაზე და თანამდებობის მიღებისა. სენატს ებძანა მიწერ-მოწერაში ყოველ დაწესებულებასთან, გარდა გენერალ გუბერნატორისა და სტატს-სეკრეტარისა, რუსულ ენის ნაცვლად, ადგილობრივ ენებზე სწარმოებდეს. ასეთივე ბრძანება ეძლევა გუბერნატორს და უმთავრეს დაწესებულებათ.

„ნოვოსტი" იუწყება, შინაგან საქმეთა მინისტრი შემდეგ შეღავათს უპირობს პრესას არჩევნების დროს: 1, გამოაცხადოს სახელმწიფო სათათბიროში ამოსარჩევ კანდიდატების სია; 2, თავისუფლად წარმოსთქვას აზრი შესახებ არჩევნებისა, საარჩევნო აგიტაციისა, სახელმწიფო სათათბირო მოქმედებისა და კანდიდატების ავკარგიანობისა; 3, ცენზურები განთავისუფლებულ იყვნენ პასუხის-გებისაგან სასჯელთა 1006 მუხლის ძალით.

პარიზი. გაზეთი „პერსევერანცა" ამბობს, ბიულოვის სიტყვა და აზრი რუსეთ-გერმანიის დაახლოვების შესახებ მშვიდობიანობის მოყვარულთ გაახარებს. საფრანგეთი გულდადინჯებული იქმნება თავის საზღვრების შესახებ გერმანიის მხრივ. მისი დაახლოვება გერმანიასთან დაუფასებელი იქმნებოდა მთელი ევროპის მშვიდობიანობისთვის, მაშინ ევროპა თავისუფლად ამოისუნთქებდა და მოისპობოდა ის გარემოება, რომელიც 1871 წელმა შექმნა.

ვაშინგტონი. მთავრობა ემზადება, თუ საჭიროება მოითხოვს, უფრო მტკიცე პროტესტი გაუგზავნოს გავანას ინგლის-კუბის ხელშეკრულობის წინააღმდეგ. თუ რომ კუბამ ხელშეკრულობის რატიფიკაცია გაბედა, ამით კუბის რესპუბლიკა დაამტკიცებს, რომ შეერთებულ შტატეს არ ერიდება.

„ეკო დე პარი" დელკასეს შეეკითხა, მართალია ის ხმები, ვითომც ინგლისმა წინადადება მისცა საფრანგეთს, თავისი ფლოტი შეიარაღოს, კილის არხი დაიჭიროს და 100,000 მეომირი გადასხასო? პასუხად დელკასემ მხოლოდ გაიღიმა და სთქვა, ნუღარას მკითხავთო. ეს სიჩუმე ხმების უარისყოფად მიაჩნიათ.

*) ვბეჭდავთ ამ წერილს ბ-ნ გუგუშვილის თხოვნით. რედ.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

პეტერბურგის ბირჟა, 23 სექტემბერი.

სამ-თვიან თამასუქების კურსი:

ლონდონის ბირჟაზე 10 გირვ. სტ.	93,85
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ჩეკები ლონდონისაზე	94, 55—60
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,62 ½—60
ბირჟის დისკონტი	5¼—7%
4% სახელმწიფო რენტა	89
4⁰⁰-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
4½ შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბანკ.	84½
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	460
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	352
5% გირ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ.	285 ¼
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
4½% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. საად.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	201 ½
ძმ. ნობელის ნავთ. მრეწვ. ამხ. პაი	10275. (?)

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.), 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილით 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 წ.)ს. 31

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 . 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3 სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 6 წ. (11 ს. 7 წ.).

ე) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 2 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (12 ს. 28 წ)

—

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამალიც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, კელიკოვნიაქესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევა'. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელიმანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

Поступили въ продажу новыя книги
Г. Туманова:
КЪ ВВЕДЕНІЮ НА КАВКАЗѢ ЗЕМСКАГО САМОУПРАВЛЕНІЯ.
Сборникъ матеріаловъ, съ сибирскимъ проектомъ, ц. 20 к.
Характеристики и воспоминанія.
книга 2 я.
Содержаніе. И. И. Свѣденцовъ (Ивановичъ).—В. Л. Величко.—Макс Горкій на Кавказѣ.—Г. Сундукіанцъ.—А. Цагарели.—Еще объ А. Казбекѣ и З. Антоновѣ.—Д. Ведребисели.—Абс. Іоаннисіани Ис. Е. Питоевъ.—С. К. Зубаловъ.—П. Умикашвили.—А. Нанеишвили —кн. Н. Д. Мингрельскій.—Итоги недавняго кавк. управленія (кн. Голицынъ).—Изъ театрльныхъ воспоминаній, ц. 50 к, 1—1.

Въ Центральной книжной торговлѣ въ Тифлисѣ заготовлены учебники, учебныя пособія и книги для домашняго чтенія учащихся въ среднихъ и низшихъ учебныхъ заведеніяхъ. Тамъ же имѣются и постоянно получаются общедоступныя изданія по современнымъ общественнымъ вопросамъ. (3—17).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა. № 113.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. „ 5—8

ხუთი ახალი წიგნი
წიგნის მაღაზია „ცოდნა"-ს გამოცემ
სამშობლოსათვის თავდადებულნი. 40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში . 20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა . 20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი . . . 10
იაპონია. ნ. ნიკოლაძისა. 20
დარბაზის კედლებად მოსართავი სურათები:
შოთა რუსთაველისა, დიდი 50 კ., აკაკისა 40 კ., ილია ჭავჭავაძისა 43 კ., რაფიელ ერისთავისა 40 კ., ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ., ევნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ. ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ., საქართველოს დიდება 1 მ. 20 კ., თამარ მეფის დიდი სურათი 1 მ. 50 კაპ. და პატარა 6 კაპ.
და სხვა ყოველგვარი წიგნები.
მოსამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა". სოსიკო მერკვილაძე. (20—20

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის" რედაქციაშიაც
ნაწერები
პეტრე უმიკაშვილისა
გამოცემა „ცისკარი"-ს ამხანაგობისა.
წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.
ფასი 30 კაპ.

ახალი წიგნი
ეროვნული ენა
თხზ. პეტრე სურგულაძისა
გამოცემა „ცისკარისა" № 2.—ფასი 15 კაპ.
იყიდება შემდეგ ადგილებში:
ტფილისი: გაზ. „ივერიის" კანტორა, და „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოებაში" და წიგნის მაღაზიაში „ცოდნა" სოსიკო მერკვილაძესთან.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 29 Сентября 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5.